

გაზეთი ბეჭდის, „ვერსია“ ერთი

ვერსია

60 თეთრი №105 (1131) 21 - 22 ოქტომბერი, 2015 წელი

ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

ნაციონალური მოძრაობის
ალარს ფიცი გვენამს,
ალარს ბოლო გვაკვირვებს



პენდაბურის სამსახურის
ფსიქოლოგიის ტენტი **პ. 6**
„რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ



ვის დაუჭერს მხარს 2016 წლის
საკარლამენგო არჩევნებში
სალომე ზურაბიშვილი

რასომ ჰგონია „რუსთავი 2“-ის სკანდალი
ხედოვნური და ხედავს თუ არა რუსულ
კვადს წამების კადრების გავრცელებაში
საგარეო საქმეთა ექსმინისტრი **პ. 3**

რამაზ საყვარელიძის
პოლიტიკური
პროგნოზი **პ. 4**

რასომ ვერ შედახავს
„რუსთავი 2“-ის სკანდალი
ხედისუფლებების იმიჯს და
რომედ პარტიებს აქვთ
საპარლამენტო არჩევნებში
გამარჯვების შანსი



169-ე ბაბა-ბაღის ყოფილ დირექტორს,
ფიქრია ჩინაუაშვილს თაღლითობაში აღაჩნაშულება




„ჩვენი
ოჯახი არაა
ერთადერთი,
ამ ქაღის
აფერით
ვიღევ
რამდენიმე
ოჯახი
დაჩნა
უბინაოდ“

„დედა ვატირა მნერალთა კავშირისას და მთავრობისას,
მე ყველას ვეჯავრები, კარგად ვნერ და შურტი!“



გადავციონის
მძლოდი
არჩიდ მღებრიშვიდი
პოეზიის მეფესთან
5-ნდიანი
სამსახურის
უცნობ დეცადებს
გვიამბობს **პ. 7-8**





პრეზიდენტი-მინისტრი Jindal Steel and Power-ის დირექტორ მანიშ ხარბანდას შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი Jindal Steel and Power-ის დირექტორ მანიშ ხარბანდას შეხვდა. საუბარი შეეხო თანამშრომლობის საკითხებს და საქართველოში არსებულ ხელსაყრელ ბიზნესგარემოს. ენერჯის და ფოლადის მწარმოებელი ინდური კომპანია Jindal Steel and Power მოღვაწეობს აფრიკაში, ავსტრალიაში, ინდონეზიაში და ახლო აღმოსავლეთში. 2014 წლის მდგომარეობით, კომპანიის შემოსავალმა მიაღწია 3.2 მილიარდ დოლარს, დასაქმებული ჰყავს 15 ათასამდე ადამიანი.



შსს-მ 194 აზი ე.წ. ექსტაზი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული, გორის რაიონში მცხოვრები ვახტანგ ე. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის ავტომანქანის ჩხრეკისას, 194 აზი ე.წ. „ექსტაზი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,9771 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება 3,4-მეთილენდიოქსიმეტამფეტამინს შეიცავს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

შსს-მ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მსჯელობის ბრალდებით 12 პირი დააკავა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს, სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მეორე სამმართველოს (ახალციხე) №8 სასაზღვრო სექტორის (კატნატუ) დასაცავ მონაკვეთზე, თურქეთის რესპუბლიკის 2 და სომალის რესპუბლიკის 10 მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ცდილობდნენ. გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.



საქართველოს უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ვიქტორ მუჟენკო იმყოფება



საქართველოში ოფიციალური ვიზიტით უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ვიქტორ მუჟენკო იმყოფება. უკრაინელ კოლეგას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ უმასპინძლა. დახვედრის ოფიციალური ცერემონიალი გენერალურ შტაბში გაიმართა. ეროვნული გვარდიის სამხედრო-საჩვენებელმა ორკესტრმა საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო ჰიმნები შეასრულა. ცერემონიალის შემდეგ ორი ქვეყნის პირველმა სამხედრო პირისპირ შეხვედრის დასრულების შემდეგ უკრაინის გენერალური შტაბის დელეგაციასთან გაფართოებული შეხვედრა გაიმართა. გენერალ-პოლკოვნიკმა ვიქტორ მუჟენკომ შთაბეჭდილებების წიგნი ჩანაწერი დატოვა. ოფიციალური შეხვედრების შემდეგ უკრაინის გენერალური შტაბის უფროსმა გმირთა მოედანზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ ქართველ მებრძოლთა მემორიალი გვირგვინით შეამკო. ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილი იყო ასევე, გენერალ-პოლკოვნიკ მუჟენკოს სტუმრობა ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრანისში“, დაჭრილი უკრაინელი სამხედროების მონახულება წეროვანის რეაბილიტაციის ცენტრში.

კანადაში გამოჩენილი ქართველი პიანისტის, ედიშერ სავიციის კონცერტი და ფოტოგაგონა გაიშარდა

16 ოქტომბერს, ოტავას უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზში, კანადაში საქართველოს საელჩოს ინიციატივით და ორგანიზებით, აშშ-ში მოღვაწე გამოჩენილი ქართველი პიანისტის ედიშერ სავიციის კონცერტი გაიმართა. კონცერტის პარალელურად, მიმდინარეობდა ფოტოგაგონა „ქართული ანბანის სამი სახეობა“, რომელზეც წარმოდგენილი იყო უძველესი ქართული დამწერლობის უნიკალური ნიმუშები და ქართული ანბანის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას კანადის საგარეო უწყების, დიპლომატიური კორპუსის, ანალიტიკური და სამეცნიერო წრეების, ხელოვნების სფეროს, ქართული სათვისტომოსა და პრესის წარმომადგენლები დაესწრნენ. ქართული ხელოვნებისა და კულტურის ღრმა ტრადიციების გაცნობის გარდა, სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო და მინერალური სასმელი.

საქართველოს და ინვესტიციების დანაშაულის სტატისტიკა

საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყება მოიცავს საქართველოში არსებულ იმ სამინისტროების სტრუქტურაში შემავალ დანაშაულებს, რომლებიც თავიანთი ქვემდებარეობის მიხედვით აწარმოებენ გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეებზე, კერძოდ: საქართველოს მთავარი პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სასაზღვრო პოლიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო. 2015 წლის სექტემბერში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულია 3402 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1529 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 44.94%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -5.24 შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა 2175 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1340 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 61.61%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -10.35%. 2015 წლის იანვარ-სექტემბრის თვეებში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულია 26452 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 15245. დანაშაულის გახსნის პროცენტია 57.63%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -4.48%. შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით კი, 2015 წლის იანვარ-სექტემბერში, რეგისტრირებულია 18704 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 12582. დანაშაულის გახსნის პროცენტია 67.27%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -5.47%.

თაღლითობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თაღლითობის ფაქტზე მოქალაქე ომარ ხ. დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით ომარ ხ. ერთ-ერთ ბიზნესმენს გაეცნო, როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი ოთარ თორდია და თითქოსდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი არსებულ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, მისი შესაძლო სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავის არიდების სანაცვლოდ, 120 000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა. ომარ ხ. მოტყუებით დაეუფლა მის მიერ მოთხოვნილი ფულადი თანხის ნაწილს 30 000 აშშ დოლარს, რა დროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს. გამოძიება თაღლითობის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს. გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექცია აწარმოებს.



რუსეთის შსს-მ აპირან ბიორგანიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის ჯილდო — 1 მილიონი რუბლი დაანება

კრასნოგორსკის მერის პირველი მოადგილე იური კარაულოვისა და კრასნოგორსკის ელექტროსისტემების ხელმძღვანელ გიორგი კოტილიარენკოს მკვლევლობაში ბრალდებულ „კრასნოგორელ მსროლელზე“ შსს-მ ჯილდო დაანება. რუსეთის შსს-ს წარმომადგენლის, ელენა ალექსეევას განცხადებით, პოლიციამ იმ ავტომობილის მიაგნო, რომლითაც ეჭვმიტანილი, ბიზნესმენი ამირან გიორგაძე — მეტსახელად „კრასნოგორელი მსროლელი“ მიიმალა, თუმცა დეტალების დაკონკრეტებისგან ალექსეევამ თავი შეიკავა. ავტომანქანა, რომელიც არავინ იმყოფებოდა, მოსკოვის გარეუბანთან, გზაზე მიტოვებული იპოვეს. მანქანის სალონში მაყუჩი, 9-მილიმეტრიანი კალიბრის 30-ზე მეტი ტყვია, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის „კალაშნიკოვი“ ტყვიები, ტრავმული პისტოლეტი, ხელბორკილები, სკოჩი და სხვა ნივთმტკიცება იქნა აღმოჩენილი. იარაღი, რომლითაც ეჭვმიტანილმა მკვლევლობა ჩაიდინა, ავტომობილში არ აღმოჩნდა. ძალოვანი უწყების თანამშრომლები იარაღის ინტენსიურ ძებნას ახორციელებენ. გამოძიების ვერსიით, ძალადობის დროს, ეჭვმიტანილმა ავტომატური ცეცხლსასროლი, ან კარაბინის ტიპის მსგავსი იარაღი გამოიყენა, თუმცა გადამწყვეტ მომენტში იარაღი არ გავარდა, რის შემდეგაც ეჭვმიტანილმა გასროლა პისტოლეტიდან მოახდინა. 19 ოქტომბერს საკუთარ კაბინეტში კრასნოგორსკის მერის პირველი მოადგილე იური კარაულოვი და კრასნოგორსკის ელექტროსისტემების ხელმძღვანელი გიორგი კოტილიარენკო ჩაცხრილეს. მკვლევლობაში ეჭვმიტანილია ადგილობრივი ბიზნესმენი ამირან გიორგაძე. გამოძიების წინასწარი მონაცემებით, სამივე პიროვნებას მეგობრობა აკავშირებდა, თუმცა, კონფლიქტის შესაძლო მიზეზად ბიზნესმენისთვის სახელმწიფო შესყიდვების აკრძალვა სახელდება. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ბიზნესმენი მარტო არ მოქმედებდა და მისი თანამზრახველი პირადი დაცვის წევრი შოთა ელიზბარაშვილია.

პარტია „საქართველოს გზის“ საპარტიო თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა ექსპერტის სალომე ზურაბიშვილი საქართველოში ნოემბრის ბოლოს, გაერო-ს მისიის დასრულებისთანავე დაბრუნდება. მანამდე კი „ვერსიამ“ მასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა, სადაც დიპლომატი ქალბატონი ყველა აქტუალურ თემაზე — პოლიტიკურ რეიტინგებზე, წამებისა და გაუპატიურების ფარულ ჩანაწერებზე, „ოცნების“ საგარეო კურსზე, პრორუსულ ძალებსა და მიზანმიმართულ პროპაგანდაზე, ნაციონალების მიერ ხელისუფლებისთვის დაგეგმულ ხაფანგებზე, „რუსთავი 2“-სა და, საერთოდ, მედიაში მიმდინარე პროცესებზე, ოპოზიციისა და პრეზიდენტის მსგავსებასა და ვადამდელ არჩევნებზე საუბრობს:

— ქალბატონო სალომე, დაახლოებით, ერთი წლის წინ განაცხადეთ: „თუ ვინმეა ჩასაფრებული „ოცნების“ საგარეო პოლიტიკაზე, მე ვარ და მას საგარეო კურსის ცვლილებას არ შევარჩენ“. თქვენი შეფასებით, „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკა დღეს როგორია?

— ამ საკითხს დიდი სიფრთხილით ვეკიდები, თუმცა საგარეო პოლიტიკის ერთადერთი და უალტერნატივო, ევროპული კურსის შეცვლას ვერ კიდევ ვერ ვამჩნევ, ამის კონკრეტული ნიშნები არ იკვეთება. რუსეთთან მიმართებაში არ გადადგმულა ისეთი ნაბიჯები, ხელისუფლებას დასაბუთებული ბრალდება წაუყენოთ. პირიქით, მისი ყველა ნაბიჯი, ფორმალურად მაინც, პროდასავლურობასთანაა დაკავშირებული: ასოცირებაზე ხელმოწერა, მის შესრულებაზე მოლაპარაკებების წარმართვა, ავღანეთში ჩვენი მისიის გაგრძელება, ნატო-სთან ურთიერთობის გამყარება... მუდმივად ბიძინა ივანიშვილის რუსეთთან ფინანსურ კავშირზე აპელირებენ, მაგრამ მაშინ, რა უნდა ვთქვათ სააკაშვილისა და მისი ოჯახის ბევრად მჭიდრო კავშირებზე, კერძოდ, რუსეთის უშიშროების სამსახურებთან? თუმცა, არც ხმამაღალი განცხადებით გამყარებული ევროპული პოლიტიკისა უნდა გვეგუროდეს. ნატო-სა და ევროპის ძახილი არც მიშას დროს მაკმაყოფილებდა და არც დღეს მყოფის, ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის ორიენტაციაში დასარწმუნებლად!

დასავლურობა და ევროპულობა არც ასოცირებაზე ხელმოწერით შემოიფარგლება, არც უიზო მიმოსვლით, ან მაკეინისა და სხვებთან მეგობრობით! მთავარი ორი რამაა: სასამართლო და კანონის უზენაესობა, რომელიც პუტინის რუსეთისგან მართლაც, რადიკალურად და არსებითად გვაშორებს და სხვა ყაიდის სახელმწიფო გეოპოლიტიკებს! მეორე — თავისუფალი ეკონომიკა, სადაც ხელისუფლების კლანების თარეში და ფარული გარიგებები არ არსებობს. სახელმწიფო, სადაც შიში სუფევს, არჩევნები ყალბდება, ერთპარტიულობა და ერთფეროვნება დამკვიდრებული, ხარისხობრივად, „რუსული მოდელი“ და ამისგან ბოლომდე არც განვითარდებიან. დღესაც გზავჯარედინზე ვართ და სიფრთხილე გვმარტობს, მაგალითად, როცა ფსევდოპოლიტიკური მანქანების მშენებლობაზე ან გაზის იმპორტსა და იმ გზებზე, რომლითაც საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობა უნდა გაძლიერდეს.

გვეყავს ჩრდილოელი მეზობელი, რომელთანაც სუფთა კომერციული და მხოლოდ ეკონომიკური გათვლები არ გამოდის. ამ ურთიერთობაში მთავარი გარანტორი განცხადებები და დაპირებები ვერ იქნება, საჭიროა საჯაროობა, გამჭვირვალობა და საზოგადოების აზრის გათვალისწინება. თუ ქვეყანაში პარლამენტი პარლამენტობს, განხილვების პასუხისმგებლობა უნდა აიღოს და მთავრობას ყველა კითხვებზე პასუხი გააცემოს.

— ევროსაბჭოში „ოცნების“ გამოსვლა და მუშაობა ექსპერტებმა და ოპონენტებმა ფიასკოდ შეაფასეს. წინასწარ პატიმრობებთან დაკავშირებული ევროსაბჭოს რეზოლუცია ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოდ მწვავე აღმოჩნდა. მსგავს დოკუმენტებსა და მათში ასახულ შენიშვნებს რა მნიშვნელობას ანიჭებთ?

— მგონი, ორი აზრი არაა, ნაციონალები 9 წლის განმავლობაში დაიხვეწნენ და პირველ რიგში, დახვეწეს უცხოელებთან მუშაობისა და პროპაგანდის ყველა ხერხი. მათ ამის ფინანსები ჰქონდათ და დღესაც აქვთ. ამ დროს კი, „ოცნება“ საკმაოდ უგზურ პოზიციაში ჩაიკეტა. საქმე ვაკეთოთ და ეს საქმე გამოგვჩვენოს — ამ პოლიტიკამ არ გაამართლა, რადგან ვერ არც ისეთი საქმეები უკეთებიათ, მსოფლიო გააოცონ, თან ვერ გაუგეს დღევანდელ მსოფლიოს და მის დაუნერგელ კანონს — რეალობას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე „შექმნილ სურათს“. სამაგიეროდ, ამ კანონს ალლო „მოდელირებული ომის“ ავტორებმა მშვენივრად აუღეს! ყველაფერ ამის ფონზე, საკვირველი სულაც არაა, რომ ამ

ბრძოლას, თუნდაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, „ოცნება“ იმდენჯერ წააგებს, რამდენჯერაც გამართავს! ასე იქნება მანამ, სანამ ამ საქმეს პროფესიონალურად არ მიუდგება — პიარსაც პროფესიონალები სჭირდება და პიარში ფულის ხარჯვაც აუცილებელია!

რეალურად, საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების გარდა, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დადგენილებები დიდ ინტერესს არ იწვევს. ნატო-ს, ევროსაბჭოს, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეები დიდი გავლენით არ სარგებლობენ. ერთადერთი ორგანო, რომლის პოლიტიკური ნონაც, ბოლო პერიოდში, გაიზარდა, ევროკავშირის პარლამენტია, რომელსაც სხვა საპარლამენტო ასამბლეებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ რეკომენდაციებით შემოიფარგლებიან, გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს. დიახ, ამ ბრძოლაში უპირატესობა ნაციონალებს აქვთ და ამ უპირატესობას ინარჩუნებენ კიდევ, თუმცა ასეთ დადგენილებებს

ვის დაუჭირს მხარს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილი



რაცომ ჰგონია „რუსთავი 2“-ის სკანდალი ხედოვნური და ხედავს თუ არა რუსუდ კვადს წამების კადრების გავრცელებაში საგარეო საქმეთა ექსპერტის

ქვეყნისთვის, რეალურად, დიდი მნიშვნელობა არ გააჩნია.

— იგებს თუ არა „ოცნება“ ბრძოლას ქვეყნის შიგნით, როცა პარლამენტის ცალკეულ დეპუტატებს რუსეთში მისიონარულად და აქტიურად საუბრობენ, რომ მომდევნო არჩევნებში პარლამენტს პრორუსული ძალები დაიკავენ. რა დამოკიდებულება გაქვთ მსგავსი საფრთხეების მიმართ, ასეთი ვარაუდი გამართლებულია?

— არ მჯერა, რომ საქართველოში პრორუსული ძალები გაიზარდა. რუსეთი ძლიერ, ეკონომიკურად ნამყვან ქვეყნად რომ გვევლინებოდეს, რომელსაც საქართველოს „გადაქაჩვისა“ და თავის ორბიტაში შეყვანის პოტენციალი აქვს, ან გვარწმუნებდეს, რომ მასთან სიახლოვით აფხაზეთი-სამაჩაბლოს დაბრუნება შესაძლებელი, სხვა საქმე იქნებოდა. დღეს ორივე ვარიანტი არარეალურია, რადგან რუსეთი არ ცდილობს, ამ თემებში მივიწვიოთ. დღევანდელ მსოფლიოში რუსეთი პროგრესულ ძალებს არავისთვის წარმოადგენს. ქვეყნის შიგნით, იგი წარსულში ჩარჩენილ, პოლიციურ, ავტოკრატულ და ნეოსტალინისტურ რეჟიმად გვევლინება, გარეთ კი — უღირს და უხემ აგრესორად. ამიტომ ვერ დაველოდებ, რომ საქართველო ასეთი ქვეყნით მოიხიბლება და წარსულის მწარე გაკვეთილებს დაივწყებს. არ მჯერა, რომ ქართველი ამომრჩეველი ასეთი ბეცია, სამაგიეროდ, ჩანს, პოლიტიკურ ძალებს „რუსული საფრთხობლით“ მანიპულირება აწყობთ. ნაციონალებმა საერთაშორისო თანამეგობრობა ლოზუნგში, რომ ბიძინა და რუსეთი ერთია, დღემდე ვერ დაარწმუნეს. ეს მათი ერთადერთი შანსია, რათა გაუცხოებული და გამიჯნული ამომრჩეველი დაიბრუნონ.

მათ სურთ, ხალხი დაარწმუნონ, რომ რუსული ძალები მოდიან და მათთვის ერთადერთი ჯებირი ნაციონალური მოძრაობაა. სწორედ ამ ნიშის დაკავებას ცდილობენ თავისუფალი დემოკრატებიც, ცნობილი წამოძახილით, საგარეო კურსის შეცვლის თაობაზე. ასევე იქცევა თავად პრეზიდენტიც, რომელიც დემოკრატიის დამცველის როლს ირგებს და სწორედ პროდასავლურობის დასამტკიცებლად, მრჩევლად ყოფილ მემარჯვენეს ეძახის!

ერთი წუთი წარმოვიდგინოთ, რომ ეს წყალგამყოფი არ არსებობს და საქართველოს დასავლურობა კითხვისნიშნის ქვეშ არ დგას. მაშინ რა უნდა ქნან ამ პარტიებმა — ერთმანეთს საქმიანი წინადადებით უნდა ეჯიბრონ და ამომრჩეველს უპასუხონ, თუ როგორ გადაწყვეტენ მთავარ პრობლემებს: კანონის უზენაესობას, ეკონომიკის გაცოცხლებას, საერთაშორისო ასპარეზზე ახალი როლის შესრულებას და ა.შ. აი, ეს კი ბევრად რთულია, ვიდრე ქაოსსა და რუსეთზე საუბარი. ეს ცნობილი პოლიტიკური არგუმენტია არჩევნების მოსაგებად და არა — ქვეყნის მართვის სწორი გზა!

— ირაკლი ალასანია ახსენეთ და, წინა ინტერვიუში მითხართ, ჯერ ახალი წამოსულია „ოცნების“ ოპოზიციამ თავისი ადგილი ვერ მონახაო. დღეს მისი პარტიის რიგებს ზოგიერთი წევრი ტოვებს. როგორ ფიქრობთ, ალასანიამ თავის დამკვიდრება მოახერხა?

— არ მგონია, სხვა პოლიტიკური ძალის გარედან შეფასება კორექტული იყოს, რადგან როცა მოვლენებს შორიდან ვაკვირდები, შესაძლოა, ბევრი რამ გამოუმართოს. თავის დროზე, მის მიერ რუსულ საფრთხეზე ატეხილი განცხადება გადაჭარბებულად შეეფასა და

მგონი, სწორადაც! ასევე, გადაჭარბებულად მიმართა დემოკრატიის დარღვევებზე განცხადების ზარების რეკვა, თუნდაც „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით, თუმცა მედიათავისუფლების პრინციპის დაცვა აუცილებელია. მეტი ამ პარტიის საქმიანობიდან ბევრი არაფერი ვიცი, რომ მისი აქტიურობა და ორიენტაცია შეეფასოს.

— სხვათა შორის, ალასანია, ბურჯანაძე, ნაციონალები და კიდევ ბევრი პარტია შუალედურ არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს. „ოცნების“ საპირსონედ კი მხოლოდ ირმა ინაშვილი იბრძობებს. ეს რას ნიშნავს და იკვეთება თუ არა მომავალი საარჩევნო ბლოკების კონტურები?

— ეს ქართული პოლიტიკის კომენტატორების საყვარელი კითხვაა, არადა, სულ სხვა კითხვას უნდა ვსვამდეთ — რამდენად სასარგებლოა ქართული პოლიტიკისთვის მსგავსი წინასაარჩევნო გაერთიანებები, რომელთა მიზანია მხოლოდ არჩევნებში გამარჯვება და ერთიანი ხედვა არ გააჩნიათ. არ მგონია, მომავალ არჩევნებზე რომელიმე არსებულ პარტიას, თუნდაც „ოცნების“ კოალიციას ან ნაციონალებს, ნეონაცებს თუ პრორუსულ კოალიციას უმრავლესობის მიღების შანსი ჰქონდეს. თუ კოალიცია შეიქმნება, ეს არჩევნების შედეგების საფუძველზე უნდა მოხდეს, პარლამენტში ახალი უმრავლესობისა და კოალიციური მთავრობის შესაქმნელად, რაც კონკრეტული პოლიტიკური მიმართულებისა და საერთო ღირებულებების ირგვლივ გაერთიანებას გულისხმობს. მხოლოდ ასე შეეძლება ერთპარტიულობის დაძლევა და ახალი პარტიების წარმოქმნის შანსიც გაჩნდება.

— არჩევნების მაჟორიტარული წესის გაუქმებასა და საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლაზე ოპოზიციის ამ ნაწილის შეხედულებას ვთანხმებით?

— ვფიქრობ, დღევანდელ საარჩევნო სისტემაში მაჟორიტარების ყოფნა-არყოფნა მთავარი ხარვეზი და გამომწვევა არ უნდა იყოს. თუ ამ სისტემის ძირეულ გამოსწორებაზე საუბარი, პირველ რიგში, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებას უნდა გადავხედოთ და იმ პარტიებს მონოპოლია ჩამოვართვათ, ვინც კუთვნილ ადგილებს, შიორ შემთხვევაში, ფულის კეთების წყაროდ იყენებენ; მეორე მნიშვნელოვანი საკითხი საერთო დროის გამოყენებაა, რომლის გარეშეც პარტიებს არჩევნებში თანაბარი შანსი ვერ ექნებათ. დღეს საქმე დიდ მანკიერ საარჩევნო სისტემასთან გვაქვს, თუმცა მის მხოლოდ ერთ, უშიშვლოდ კომპონენტს ვებრძობი. უშუალოდ მაჟორიტარი დეპუტატი ამომრჩეველთან შესაძლოა, უფრო ახლოსაც იყოს და უფრო დემოკრატიულად არჩეულადაც ჩათვალოს, თუკი პარტიისგან დანიშნული და მართული არ იქნება. საარჩევნო სისტემის გამოსწორების ეს გზა არასწორად მიმართა, რადგან მხოლოდ შედეგებს ვებრძობი და არა ძირითად უკუღმართობას!

— როცა მედია რესურსებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია, მიმდინარე პროცესებიც არ შევფასოთ: ინვა გრიგოლიას პოლიტიკური მოუს დახურვა, ეკა მიშველასი გაშვება საზოგადოებრივი მაუწყებლიდან, „მეგისტროზე“ წილების გადაწინადადება და ტელევიზიის გაკოტრებულად გამოცხადება, ქიზარ ხალვაშის დავა „რუსთავი 2“-თან და არხის ფინანსური ანგარიშების დაყვანება — ყველაფერი ეს მედიაზე წინასაარჩევნო ზენოლად მიგაჩნიათ?

— თუ ყველაფერ ამას ზედპირულად შევხედავთ, შესაძლოა, მართლაც მედიაზე ზენოლის, უფრონაღისტების შევიწროებისა და საარჩევნო მედიაციის დაცემის გარეშე მცდელობად შევფასოთ.

დასასრული მე-4 გვერდზე

პერსონალი

საქართველო-აზერბაიჯანს შორის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები დაინახა

აზერბაიჯანმა და საქართველომ დაადასტურეს სტრატეგიული პარტნიორობა სამხრეთ ენერგეტიკული და სტრანსპორტო დერეფნის განვითარების მიმართულებით. აზერბაიჯანში გიორგი კვიციანი ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ელმარ მამედიაროვის შეხვედრა გაიმართა. განიხილეს ორი ქვეყნის ურთიერთობათა ფართო სპექტრი და დასახეს თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების პერსპექტივები. აღნიშნეს ორი ქვეყნის თანამშრომლობის მაღალი დონე და ვიზიტების ურთიერთგაცვლის აქტიური დინამიკა, რომელიც დამატებით იმპულსს შესძენს მთლიან მომავალში პრეზიდენტ ალიევის ვიზიტს საქართველოში. აზერბაიჯანში ვიცე-პრემიერის ვიზიტის ფარგლებში, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა მხარეთა საერთო ძალისხმევაზე, რომელიც მიმართულია ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისაკენ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორი ქვეყანა განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას სამხრეთ ენერგეტიკული დერეფნის რეალიზაციის თვალსაზრისით, რითაც საქართველო და აზერბაიჯანი განსაკუთრებულ როლს ასრულებენ რეგიონში და ევროპის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებაში. მხარეებმა მიმოიხილეს თანამშრომლობა ტრანსპორტის სფეროში და აღნიშნეს ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სტრანსპორტო დერეფნის შეუფერხებელი ფუნქციონირების უდიდესი მნიშვნელობა. ამ კონტექსტში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტის საკითხს. შეხვედრისას საუბარი ასევე შეეხო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. ორმხრივი დღის წესრიგის პარალელურად, მინისტრებმა განიხილეს საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციათა ფარგლებში. საქართველოს ვიცე-პრემიერმა, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გამართა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარესთან.



„პია“

რამაზ საყვარელიძის პოლიტიკური პროგნოზი

ნაცომ ვერ შედახვს „რუსთავი 2“-ის სკანდალი ხელისუფლების იმიჯს და რომელ პარტიებს აქვთ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შანსი



ბანო ტურაშვილი
598-47-87-14
საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე პროცესებზე „ვერსია“ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის ესაუბრა.

— ბატონო რამაზ, თქვენი აზრით, რამდენად სტაბილურია საქართველოში დღეს პოლიტიკური ვითარება?
— პოლიტიკურ სტაბილურობაზე შიდა და გარეფაქტორები მოქმედებს. შიდაფაქტორების თვალსაზრისით, ქვეყნის სტაბილურობას, მგონი, არაფერი ემუქრება — პროცესი ნორმალურ პოლიტიკურ კალაპოტში მიდის. რაც შეეხება გარეფაქტორებს, ბევრი რამაზ საყვარელიძე. შესაძლოა დღეს



ისრაელის პრეზიდენტის სასახლეში, საქართველოს პრეზიდენტის პატივსაცემად, სახელმწიფო სადილი გაიხატა

ისრაელის პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ გიორგი მარგველაშვილისა და მარკა ჩინუას პატივსაცემად სახელმწიფო სადილი გამართეს. საქართველოს პრეზიდენტმა ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტს, რუვენ რივლინს და მის მუუღლეს, ნეჩამა რივლინს მონვევისა და გულითადი მასპინძლობისათვის მადლობა გადაუხადა. ორივე ქვეყნის პრეზიდენტებმა ოფიციალური სადილგარძელო შესვენს და ორი ქვეყნის 26-საუკუნოვან მეგობრობაზე გაამახვილეს ყურადღება.

„მე დღეს ვიმყოფები ხალხთან, რომელმაც კარგად იცის, რას ნიშნავს თავისუფლებისათვის, სახელმწიფოებრიობისა და მშვიდობისათვის ბრძოლა. მე ვიმყოფები ქალაქში, რომელიც განსხვავებულ კულტურათა და ცივილიზაციათა შერწყმის განსაკუთრებული მაგალითია. მე ვიმყოფები იმ წმინდა მიწაზე, რომელიც მთელი მსოფლიოსთვის უნიკალურ სულიერ საგანძურს წარმოადგენს და რომელთანაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აკავშირებს“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ებრაელი და ქართველი ხალხების მეგობრობა ჩვენი ერების საერთო ღირებულებებზე შექმნა: „ისრაელიც და საქართველოც დამსახურებულად ამაყობენ საკუთარი ისტორიით, ტრადიციებითა და იმ დიდი კულტურული საგანძურით, რომელიც ჰუმანიზმისა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მატარებელია. ეს ყოველივე ჩვენს სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მტკიცე საძირკველს ქმნის. ისრაელის სახელმწიფო საქართველოს უმნიშვნელოვანესი პარტნიორია. ჩვენ ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ, რათა უფრო გავაღრმავოთ არსებული კავშირ-ურთიერთობები და თანამშრომლობის თვისობრივად უფრო მაღალ საფეხურზე გადავიდეთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი დღევანდელი შეხვედრები ძლიერი იმპულსი იქნება იმისთვის, რომ ჩვენმა თანამშრომლობამ შესაძლებლობების მთელი პოტენციალი მოიცვას“.

ისრაელის პრეზიდენტმა რუვენ რივლინმა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობას ნაყოფიერი უწოდა და აღნიშნა, რომ ისრაელმა არ უნდა დაივიწყოს საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა საერთაშორისო დიპლომატიკაში. მისი განცხადებით, ისრაელმა არაერთხელ გამოხატა ნათელი მხარდაჭერა საქართველოს განვითარებისა და კეთილდღეობისადმი: „ეს არის პროდუქტიული და დამაიმედებელი თანამშრომლობა, პარტნიორობა, რომელიც მივყავან ჩვენი შვილების მომავალთან“.

საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის სახელმწიფო ვიზიტი ისრაელში 20 ოქტომბერს დასრულდა.

ტაბილიზაციის წყაროდ ისევ რჩება რუსეთი, თუმცა ახლა მისი ყურადღება სხვა მიმართულებითაა მიპყრობილი. ამ ტრადიციულ საფრთხეს დაემატა ახალი — „ისლამური სახელმწიფო“. ჯერჯერობით, მასაც, კავკასიის გარდა, სხვა პრობლემები აქვს, თუმცა მის მოქმედებებში კავკასიური ვექტორის გაჩენა გამოირიცხული არაა. თუ ასე მოხდა, დესტაბილიზაციის საფრთხე ნამდვილად შეგვექმნება.

— მუდმივად არის საუბარი, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ახალი პოლიტიკური სახე გამოჩნდება. გაქვთ ამის მოლოდინი?

— მართლაც ველოდი, რომ ახალი სახე გამოჩნდებოდა, რადგან ხელსაყრელი პირობები იყო ახალი პოლიტიკური ფიგურებისთვის. ხალხიც ნებისმიერ სიახლეს დაეწაფებოდა, მაგრამ ფაქტია, ახალი არავინ გამოჩნდა. ახლა კი, მგონი, უკვე გვიანია. — ნინასარჩვენოდ „ქართულ ოცნებაში“ თუ მოხდება ცვლილებები?

— ანალიტიკოსების ნინასარჩვენოდ ცვლილება მხოლოდ ლოგიკას შეიძლება დაეყრდნოს. ხილვები ჩვენი მეთოდი არაა. ლოგიკით კი ცვლილებები ხდება მაშინ, როცა პარტია მიზანს ვერ აღწევს. ჩვენ არც ის ვიცით, რა მიზანს ისახავს მმართველი პარტია (მის პოლიტიკურ ტემპერამენტში არ ჩანს, რომ სურს დიდი უმრავლესობით მოსვლა პარლამენტში) და არც ის ვიცით, რამდენად რეალურია ამ მიზნის მიღწევა (სანდო სოციოლოგიური მონაცემები არ ქვეყნდება). ამ ფონზე,

მე-3 გვერდიდან

ვის დაუჭერს მხარს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილი

ეს დემოკრატიულად მოაზროვნე ყველა ადამიანისთვის, მათ შორის, ჩემთვისაც მიუღებელია, თუმცა ყველაფერი, რაც ახლა ხდება, თავის დროზე ნაციონალების ქმედებებს ჰგავს და ცოტა ხელოვნურად მიმართა. დღევანდელი ხელისუფლება, რაც უნდა უფრო იყოს, ნათელი, ისეთი ბრიყვია, სხვა ფორმით ვერ მოქმედებს, თუკი მიზნად მდებარე კონტროლი დასახსნა? თუქმულებს დახურვას სხვა თოქმულებს დამატება აჯობებდა და ასე, მათ რეიტინგს დაწევდა, შექმნიდა ახალ, კონკურენტ გადაცემებს და ა.შ. „რუსთავი 2“ პოლიტიკურად არცთუ პოპულარული არხია, თორემ „ჩემი ცოლის დაქალების“ პოპულარობაზე არ ვდავობ. ხელისუფლების მხრიდან დაყადაღების მიზანს ვერ ვხედავ!

„რუსთავი 2“, თავისი არაობიექტურობით, მსმენელსა და გავლენას ისედაც კარგავდა, ახლა კი ჩაგრულის მანტია მოირგო, რაც უფრო აძლიერებს. მისი დაცვა კი საარჩევნოდ, პოლიტიკურად, ყველაზე მომგებიანია! „რუსთავი 2“ სამი წელი შეუფერხებლად ენოდა დესტრუქციულ პროპაგანდას, მთელი ზაფხული ყველა რეგიონში კონცერტებს მართავდა და დავიჯერო, „ოცნება“ სწორედ ახლა ვერ აიტანა ყველაფერი?! ხელისუფლებას ხომ შეეძლო, მის ხელთ არსებული საშუალებები გამოეყენებინა — „ჯიდიესი“, „იმედი“ ან „საზოგადოებრივი მაუწყებელი“?! ყველაფერი ეს იმდენად „გროტესკული“ და ზომიერების ფარგლებს გაცდენილია, რომ ხელისუფლებისთვის დაგებულ ხაფანგს უფრო ჰგავს.

კონსპირაციებისა არ მჯერა, თორემ ვიფიქრებდი, „ოცნება“ ნაციონალების გაცოცხლებას ხელს შეგებულად უწყობს! ამ თემებზე საუბარი სწორედ ნაციონალების ურყევი ნიშაა, რომელსაც სხვა კონკურენტებს არ უთმობენ.

— როგორც ჩანს, „ოცნება“ ნაციონალებს წარმატებით „აცოცხლებს“, რადგან 3%-ს გამოკითხვით, სწორედ ნაციონალები ლიდრობენ, 13%-ით, ხოლო „ოცნებას“ 11% აქვს. რას ნიშნავს ეს შედეგები?

— რეიტინგების ანალიტიკოსი არ ვარ და კონკრეტულ ანალიზს ვერ გავაკეთებ, მაგრამ რამდენი ხანია ვამბობ: როცა ქვეყანაში პირველადი სოციოლოგიური კვლევები არ არსებობს და არ ვიცით, მოსახლეობის რომელ სექტორში ტარდება გამოკითხვა, ეს კვლევა სულ ერთი და იგივე 3000 ადამიანს ჩაუტარდება. ჩემი აზრით, სწორია, რომ ნაციონალური მოძრაობას თავისი იდეოლოგიური, ურყევი მომხრეების ბირთვი ჰყავს და მას, მეტ-ნაკლებად, ინარჩუნებს. ეს ალბათ 10%-იანი ბირთვია. სამაგიეროდ, ჯერ არა მგონია, „ოცნების“ მომხრეები ასე შემცირებულიყვნენ: პირველ რიგში იმიტომ, რომ ეს საქართველო და სახელისუფლო პარტია ყოველთვის სარგებლობს იმ ადმინისტრაციული ხმებით, რაც 10%-ზე ნაკლებს არასდროსაა. ამიტომ ის, რომ „ოცნების“ რეალური მომხრეები ახლა ერთ პროცენტსაც ძლივს აღემატებიან, ძალიან დაუჯერებელია. თუმცა ნათელია,

პროგნოზი, მოხდება თუ არა ცვლილება „ოცნებაში“, ლოგიკის საფუძველზე შეუძლებელია.

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, „ოცნების“ რიგებს შეემატოს ბიძინა ივანიშვილის შვილი უტა ივანიშვილი. ეს დადებითად წაადგება პარტიის რეიტინგს?

— არ მგონია, შეიძლება დიდად იმოქმედოს ამომრჩეველზე, როცა მის პიროვნებას საერთოდ არ იცნობს.

— როგორ აფასებთ „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე პროცესებს, რა შეფასებას მისცემთ?

— ეს პროცესი ხელისუფლებისთვის მხოლოდ ცუდის მომტანია. თუ ვინმეს აწყობს, ჩაგრულის იერი ჰქონდეს „რუსთავი 2“-ს, ეს ნაციონალური მოძრაობაა. ამ ლოგიკით, მგონია, რომ ეს პროცესი ხელისუფლების ნამოწყებული არ უნდა იყოს... თუმცა, ადამიანები ყოველთვის ლოგიკით არ მოქმედებენ.

— ანუ, „რუსთავი 2“-ის სკანდალი ხელისუფლების რეიტინგზე აუცილებლად აისახება?

— „რუსთავი 2“-ს ხალხის ისეთი ნდობა რომ ჰქონდეს, როგორც „ვარდების რევოლუციის“ წინ ჰქონდა, უდავოდ იმოქმედებდა. დღეს მეექვსეა, დიდი გავლენა მოახდინოს ხელისუფლების იმიჯზე. უცხოელების თვალში კი ეს იმიჯი შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეილახოს.

— „რუსთავი 2“ ქართულ პოლიტიკაში დღეს დიდ როლს აღარ ასრულებს?

— „რუსთავი 2“ კი არა, დღეს არცერთი მედიასაშუალება არ ასრულებს დიდ როლს ქართულ პოლიტიკაში.

— თქვენი პროგნოზი როგორია — პოლიტიკურ პარტიებს შორის, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შანსი რომელს აქვს?

— მე მგონია, რომ ყველაზე მეტ ხმას მიიღებს მმართველი პარტია, მაგრამ ეს გაცილებით ნაკლები იქნება ხმების იმ რაოდენობაზე, რითაც ისინი მოვიდნენ პარლამენტში. ვვარაუდობ, რომ დარჩენილი ხმები, დაახლოებით, თანაბრად გადანაწილდება ნაციონალებს, დემოკრატიულ მოძრაობას, თავისუფალ დემოკრატებსა და პატრიოტთა ალიანსს შორის.

რომ „ოცნებას“ უმრავლესობა აღარ აქვს და ალბათ, მისი რეალური ნიშნული 35%-ის ირგვლივ მერყეობს.

— სწორედ ამ კვლევის შემდეგ და როგორც გარკვეულ წრეებში ვარაუდობენ, ამ შედეგების გადასაფარად, ე.წ. კასრების ფაილები, საშინელი წამებისა და გაუპატიურების კადრები კვლავ გააქტუ-საშუადა. ვის სჭირდება დღეს ამ კადრების დატრიალება, ვინ რა მოიგო ამით?

— ჩემთვის ყველაზე საყურადღებო უკრაინის ფაქტორია. უკრაინასა და საქართველოში ერთდროულად მხოლოდ რუსეთი მოქმედებს. ანუ ვილაცას სურს, დაგვაჯეროს, რომ ამ თემით რუსეთი უკრაინაში სააკაშვილის, საქართველოში კი ნაცების წინააღმდეგ მანიპულირებს. ესეც ე.წ. რუსული საფრთხობელის თემაა, მაგალითად, გაზპრომის მსგავსი. თუმცა ამ მოვლენებში, როგორც ბევრ სხვა ვითარებაში, ცოტა ძნელი გასაგებია, სად დგას და რას აკეთებს „ოცნება“. ეს ორი ძალა კი, ნებისმიერ თუ უნებლიედ, ერთად მოქმედებს, რაც უკვე გაცხადდა ამ კადრების პირველივე გამოჩენისთანავე.

— ფაქტია, ნაციონალური მოძრაობა ახლა ბევრად რადიკალურია: ვადაძლელ საპარლამენტო არჩევნებს იხოვს, საკრებულოს დეპუტატები კი წარმანისა გადადგომასა და ვადაძლელადგილობრივ არჩევნებს. ეს რადიკალიზმი რას მოიტანს?

— მასსოვს, როგორ აფასებდა ყოფილი ხელისუფლება ჩვენს სრულიად მშვიდობიან დემონსტრაციებს. ამბობდა, რომ ეს იყო რადიკალური მოქმედებები, გადატრიალების მცდელობა, ლამის ქვეყნის ლალატი! ამ დროს, დღევანდელი ოპოზიცია სულ სხვა პირობებშია: პარლამენტშიც ძლიერადაა წარმოდგენილი, მის ხელთაა ძლიერი მედიასაშუალებები, არამხოლოდ „რუსთავი 2“, არამედ საინფორმაციო სააგენტოები. არც დაფინანსება აკლია თავისი წყაროებიდან — კეზერაშვილი ხომ „ოცნება“ გაათავისუფლა?! ფულს უცხოეთიდანაც იღებს და სასამართლოებში, თუნდაც საკონსტიტუციოში, მისი გავლენა ჯერაც დიდია. ნაციონალურმა მოძრაობამ პოლიტიკური ბრძოლა წარმატებულად არ ან ვერ აწარმოა და ამიტომაც ახლა გამოსავალს არეულობაში ეძებს.

— გამოსავალი ვადაძლელი არჩევნებია? ისე, ზოგიერთი ექსპერტი „ვარდების რევოლუცია 2“-საც ვარაუდობს.

— არ მგონია, ვადაძლელი არჩევნები რეალური მოთხოვნა იყოს, ეს უფრო სტრატეგიის ნაწილი მგონია, რადგან ვადაძლელი არჩევნები, სინამდვილეში, ყველა სხვა პარტიაზე მეტად ხელისუფლებას აწყობს. ნაციონალებს კი — უფრო ვითარების დაძაბვა, გამონეგვა, პროვოკაცია და მუდმივი შფოთვა, ხან რუსეთის შემოსვლის, ხან დემოკრატიის ხელყოფის თემით, რათა ხელისუფლება თავდაცვის რეჟიმში ჩააყენოს. სხვათა შორის, ამას საკმაოდ წარმატებულადაც ახერხებს!

— ქალბატონო სალომე, სად იქნებით 2016 წელს და ვის ექნება თქვენი მხარდაჭერა?

— ამ დროისთვის ერთი მოკლევადიანი გეგმა მაქვს, არა პოლიტიკური, არამედ სახელმწიფოებრივი, რომელიც უცხოეთში მყოფი ქართველების უფლებებს, კერძოდ, მათთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის პროცესის შეჩერებას ეხება. ამ საკითხზე პირველ შედეგს უკვე მივაღწიეთ და 24 სექტემბერს პარლამენტში განხილვაც მოწყენს. მას კომპლექსური უწყებები და ყველა პარტიის წარმომადგენელი ესწრებოდა — ხაზგასმით ვამბობ, რომ ეს ბრძოლა არ დასრულდება და კვლავ გაგრძელდება!



ბათო ჯაფარიძე

მაშინ, როცა წინა ხელისუფლება გვიმტკიცებდა, რომ რუსეთი მტერი იყო, რომ რუსეთს 2008 წელს ომი მოუვლავდა და მსოფლიოს დავანახებდა, რა შეგვიძლია, მაშინ, როცა რუსეთთან ყველანაირი ურთიერთობა გავწყვიტეთ და მუშტებს ვიქნებდით, სწორედ მაშინ, რუსული „გაზპრომი“ ბუნებრივ აირს გვანვდიდა. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, სწორედ წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა ყველაფერი, იმ ხელისუფლების, რომელიც ახლა ოპოზიციამა და ამჟამინდელ ხელისუფლებას „გაზპრომთან“ მოლაპარაკებების გამო, ქვეყნის მტრად აცხადებს.

20 ოქტომბერს, ექსპერტებმა მამუკა არეშიძემ და ხათუნა ლაგაზიძემ და ენერჯისტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ცალცალკე გამართეს პრესკონფერენციები, თემა კი ერთი იყო.

პასუხი: „შეგახსენებთ, რომ 2005 წელს სააკაშვილის ხელისუფლება მართავდა აქტიურ მოლაპარაკებებს „გაზპრომთან“ ცენტრალური მაგისტრალური მილსადენის გაყიდვასთან დაკავშირებით. რომ არა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, მეგობარი ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატები, დარწმუნებული ვარ, ეს პროექტი განხორციელდებოდა და მილსადენი იქნებოდა გაყიდული. მაშინ ამერიკის მთავრობამ გარკვეული თანხები გამოყო ამ მილსადენის რეაბილიტაციისთვის და ხელშეკრულებაში კონკრეტულად ჩაინერგა, რომ საქართველოს მთავრობას ეკრძალება ამ მილსადენის გასხვისება. მაშინ სააკაშვილსა და მის გარემოცვას თავისი ჩანაფიქრი რომ განეხორციელებინათ, დღეს ჩვენ პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტის გარეშე ვიდგებოდით რუსეთის წინაშე და რეგიონში აუტსაიდერის როლით დავკმაყოფილებოდით...“

საქართველოს დომინანტი როლი, მომგებიანი გეოპოლიტიკური განლაგება და სამომავლო პერსპექტივები ნებისმიერი ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანისთვისაც კი ნათელია. ჩვენ, ყველამ, მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მივმართოთ, რათა ადამიანებს ჰქონდეთ განცდა, ისინი ცხოვრობენ პერსპექტიულ, განვითარების გზაზე მყოფ ქვეყანაში, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკის ნარმოვებში თავისი არცთუ უმნიშვნელო და ზოგ საკითხებში საკვანძო ადგილი აქვს...

ამჯერად მაინც უნდა ვთქვათ უარი პოპულიზმზე, პარტიულ და პირად ანგარებაზე და შევხედოთ ქვეყნის მომავალს. ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა და მისი ინტერესების დაცვა არის ჩვენი ხელისუფლების ვალდებულება...

საინტერესოა ერთი ფაქტი, 2006 წელი, ჩვენ კარგად გვახსოვს, მოხდა აფეთქება მაღალ ელექტროგადამცემ ხაზზე, „კავკასიონზე“, საიდანაც ელექტროენერჯიას რუსეთიდან ვიღებდით და ორ ცენტრალურ მაგისტრალურ გაზსადენზე. მაშინ წინა ხელისუფლება გვეუბნებოდა, რომ მოვახერხებთ და ბუნებრივი აირი შემოგვაქვს აზერბაიჯანიდან, ირანიდან და სრულიად მოხდა რუსეთის ჩანაცვლება. ეს იყო დიდი სიცრუე და ამაზე მეტყველებს ციფრები. ირანიდან შემოსული გაზი დაახლოებით 2 საათს ეყოფა ჩვენს ქვეყანას. 19 მილიონი კი, შეიძლება ითქვას, რომ ნახევარი დღის მოხმარებაა, 2006 წელსაც კი დამატებით მოცულობები მიიღებოდა რუსეთიდან, ანუ 2006 წელსაც საქართველო 99%-ით იყო რუსულ გაზზე დამოკიდებული...

2008 წლის აგვისტოში, როდესაც საომარ პირობებში ვიმყოფებოდით, მაშინაც ჩვენ ვიღებდით ბუნებრივი აირის დამატებით მოცულობებს რუსეთიდან“.

მაშუკა არეშიძე: „2006 წელს გაზსადენის აფეთქება მოხდა, რის შემდეგაც საქართველო გაზისა და დენის გარეშე დარჩა. საქართველოს ხელისუფლებამ სწორედ მაშინ დაიწყო აზერბაიჯანთან მოლაპარაკებები. 2007 წელს ინგუშეთიდან ჩამოვიტანე ამბავი, ინგუშეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, როგორც ვითარებასთან, ისე ჩვენთან დაახლოებულმა პირებმა, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ მითხრა „აფეთქების კვალი საქართველოში ეძებეთ“. ინგუშები არ გამოირჩევიან, რომ აფეთქებაში ქართველები იყვნენ გარეულები. რა ფორმით და როგორ, სამწუხაროდ, ვერ გამოვიკვლიეთ...“

„გაზპრომის“ გაზი, რომელიც რუსეთ-სომხეთის მილში გადის, რაც უნდა გაიზარდოს, იმ რაოდენობის ვერ იქნება, აზერბაიჯანული გაზი ჩანაცვლოს. გაზის პროექტში, საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიული ბმა არ შეიცვლება. არ ვარგა, როდესაც გაზის მონოდების მონოპოლისტი მთლიანად ერთი კომპანიაა. თუ მოხერხდა, რომ გვექნა საშუალება, ირანიდანაც მივიღოთ გაზი, ნაწილი მივიღოთ სხვა გზითაც, თავისთავად, ურიგო არ იქნება...“

ნაციონალური მოძრაობის აღარც ფიცი გვნამს, აღარც ბოლო გვაქვირვებს

მილსადენს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის, სტრატეგიული ობიექტის სტატუსი ჰქონდა. ამ მილსადენის გარშემო დიდი ხნის განმავლობაში ვაჭრობა მიდიოდა და ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში ყოფნის დროს მას სწორედ „გაზპრომს“ სთავაზობდა. ამაში მოგვიანებით ამერიკელი ჩაერვივნენ, „მილენიუმის“ პროგრამის ფარგლებში გამოიყო 49,5 მილიონი დოლარი, რომ ქართულ მხარეს ეს სტრატეგიული ობიექტი რუსეთისთვის არ მიეყიდა. როგორც კი ამერიკულ მხარესთან დადებული ხელშეკრულება ამოიწურა, 2010 წელს კი ქართულმა მხარემ მილსადენს სტრატეგიული ობიექტის სტატუსი მოუხსნა, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე მიეყიდათ მილსადენი რუსული მხარისთვის. რომ არა მოვლენების განვითარება, რომელმაც ხელი შეუშალა ამ მოლაპარაკებას, ნაციონალური მოძრაობა მზად იყო, მილსადენი რუსეთისთვის მიეყიდა. რომ არა ამ საქმეში ამერიკელების ჩარევა, ეს მილსადენი რუსეთზე კარგა ხნის მიყიდული იქნებოდა. თუ მილსადენში მეტმა გაზმა გაიარა, ეს იქნება კარგი იმისთვის, რომ ქვეყანაში დამატებითი შემოსავლები შემოვიდეს, კარგი იქნება დივერსიფიკაციისთვის, რომ მომწოდებელი მარტო ერთი არ იყოს“.

სათუნა ლაგაზიძე: „ჩინეთის ხელისუფლების მხრიდან საქართველო განიხილება, როგორც ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სატრანზიტო და საინვესტიციო პოტენციალის ქვეყანა ისევე, როგორც ირანის მხრიდან. სანქციების მოხსნის შემდეგ ირანს თავისი გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირების ახალი გზების მოძიება მოუწევს. ამ თვალსაზრისით, ირანი უკვე ეძებს პარტნიორებს და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა საქართველოზე გადის. კერძოდ, საუბარია ირანის გაზის მიერთებაზე, „ტანაპის“ გაზსადენზე 2017-2018 წლიდან. ეს იაფი გაზის მიღების შანსია, ასევე დამატებითი შემოსავლების მიღების და გარდა ამისა, ეს ქვეყნის სტაბილურობის შანსიცაა. ასევე საუბარია ირანი-სომხეთი-საქართველო გაზზე, ანუ სპარსეთის ყურის დაკავშირებაზე ამ გზით შავ ზღვასთან. ესეც ძალიან პერსპექტიულია...“

არასწორი კომუნიკაციის შედეგია „გაზპრომთან“ დაკავშირებული ხმაური, რომელიც 1 კვირის წინ ატყდა ვიცე-პრემიერ კალაძის ვიზიტის შემდეგ ისევე, როგორც აზერბაიჯანული გაზის ტრანზიტად გავლის შემთხვევაში, საქართველო შესაბამის საზღაურს იღებს, ასევე რუსული გაზიც გადის საქართველოს გავლით ტრანზიტად სომხეთში, შესაბამისად, საქართველო ასევე იღებს ამ ტრანზიტის საფასურს, მაგრამ ეს მოცულობები და გაზის მიწოდების ტექნიკური პირობები ყოველწლიურად, ახალი დამატებითი ხელშეკრულებებით გადაიხედება. ეს იყო როგორც 2006 წლამდე, ასევე 2006

წლის შემდეგაც, როცა რუსეთმა გაზი შეგვიწყვიტა, აქედან გამომდინარე, კალაძის ვიზიტი ერთ-ერთი რიგითი ვიზიტი იყო. ამავდროულად, აღმოჩნდა ისიც, რომ გარდა ამ ტრანზიტის ღირებულებაში მიღებული გაზისა, „გაზპრომი“ აირის დამატებით მოცულობებს გვანვდის. ძირითადი მომწოდებელი აზერბაიჯანია და „გაზპრომიდან“ შემოსული აირი საქართველოს 5%-მდეა. მაგრამ ფაქტია, 2013 წლის გარდა, „გაზპრომის“ მხრიდან დამატებითი გაზის მონოდება საქართველოში არ შეწყვეტილა...“

თუ გავეცნობით იმ მოცულობებს, რაც დღემდე აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან შემოდის, სასაცილოა საუბარი „სოკარის“ ჩანაცვლებაზე და აზერბაიჯანის, როგორც სტრატეგიული პარტნიორის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებაზე, ეს გამოირიცხება. ამას არც საქართველო დაუშვებს და არც საქართველოს დასავლელი პარტნიორები. ამავდროულად, ცალსახად უნდა გამოვირცხოთ „გაზპრომზე“ ჩვენი ენერჯეტიკული დამოკიდებულება. მაგრამ კითხვა, უნდა ითანამშრომლოს თუ არა „გაზპრომთან“ ხელისუფლებამ, თავისთავად ვერ დაიბადება, რადგან გინდა არ გინდა, საქართველოს ტერიტორიაზე გადის „გაზპრომის“ გაზი ტრანზიტად სომხეთისკენ. შენ ამ თანამშრომლობაზე უარს ვერ იტყვი. შენ ვერ ეტყვი მეზობელ სომხეთს, მე ვეკეტავ გაზსადენს, არ ვუშვებ რუსულ გაზს შენთან იმიტომ, რომ ეს არის „გაზპრომის“ გაზი. ეს თანამშრომლობა არსებობს და იარსებებს სულ მცირე იმ გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რაც ამ ქვეყანას აქვს. ამავე დროს, ამ თანამშრომლობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო ენერჯეტიკულად დამოკიდებული რუსეთზე არ უნდა გახდეს“.

ვინც არ იცის, ვეტყვი, რომ ოფიციალურად არსებობს 2007 წელს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ „ენერჯი ინვესტის“ გენერალურ დირექტორთან, გენო მალაზონიასთან დადო. სახელმწიფოს მხრიდან ხელს ალექსანდრე ხეთაგური აწერდა. მაშინ მალაზონიამ ვალდებულება აიღო, სახელმწიფოსთვის გაზი მიენოდებინა და ამ გაზს თავად „გაზპრომისგან“ იღებდა. ყიდულობდა 1000 კუბს დაახლოებით 150 დოლარად და დაახლოებით 170 დოლარად ყიდდა. რალა თქმა უნდა, ხელისუფლებამ ზუსტად იცოდა, სადაური ბუნებრივი აირი იყო და რას ყიდულობდა, თუმცა ამის შესახებ არც მაშინ უთქვამთ რამე და არც ახლა. სამაგიეროდ, ის სხვაობა, ანუ 1000 კუბზე 20 დოლარი, რომელიც მოგების სახით მალაზონიას რჩებოდა, ნაციონალურმა ერთიანად ამოიღეს. როგორც ვახსოვთ, „ენერჯი ინვესტის“ შევი დაიჭირეს და დაახლოებით 60 მილიონი დოლარის გადახდის შემდეგ გაუშვეს.

პერსონალიზი

70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახები ელექტროენერჯიის გადასახადისთვის კომპენსაციას მიიღებენ

თბილისში სოციალურად დაუცველი ოჯახები, ელექტროენერჯიის ტარიფის კორექტირებასთან დაკავშირებით, ოქტომბერში წარმოქმნილი ხარჯების კომპენსირების მიზნით, 21 ოქტომბრიდან, თბილისის მერიისგან დამატებით ფულად დახმარებას მიიღებენ. ოჯახებს რომელთა სარეიტინგო ქულა თბილისში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000-ს არ აღემატება, თანხა საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხებათ. დღეისათვის დედაქალაქში ასეთი 35 415 ოჯახია და მთლიანობაში მათ, დამატებითი ფულადი დახმარების სახით, 424 980 ათასი ლარი ჩაერიცხებათ. ამ კომპენსაციის გარდა, თბილისში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 000 და ნაკლები ქულის მქონე ოჯახები, ნოემბერ-დეკემბერში კომუნალური ხარჯებისთვის მიიღებენ დახმარებას თვეში 100 ლარის ოდენობით, როგორც ეს მიმდინარე წლის იანვარ-მარტში განხორციელდა.



დევნილთა სამინისტრო თბილისში ბინების განაწილებასთან დაკავშირებით დამატებით კონკურსს ასხალებს



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, უწყება, „თბილისის ზღვის დასახლებაში“ და მენაშენებისგან გამოსყიდულ იმ 27 ბინაზე, რომელიც გასანაწილებელი დარჩა, დამატებით კონკურსს აცხადებს: „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით თბილისში, „თბილისის ზღვის დასახლებაში“ და მენაშენებისგან გამოსყიდულ იმ 27 ბინაზე, რომელიც გასანაწილებელი დარჩა, დამატებით კონკურსს აცხადებს. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია თბილისში ბინის მიღების მსურველ მხოლოდ იმ დევნილ ოჯახს, რომელიც 7-8 ნევერისგან შედგება. აპლიკაციების შესვლა დაიწყება მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს და 31 ოქტომბერს დასრულდება“.

2017 წელს საქართველო ევროპისა და აზიის სამთო კურორტების კონფერენციის ჩატარების გადაწყვეტილება ოფიციალურად, სამხრეთ კორეაში მიმდინარე შეხვედრისას დადასტურდა. ევროპისა და აზიის სამთო კურორტების რიგით მე-2 კონფერენციას სამხრეთ კორეის რესპუბლიკის ქალაქ ულსანში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელი დაესწრნენ.

კონფერენციაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 500-მდე დელეგატი მონაწილეობდა. კონფერენციის პარალელურად, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ხელმძღვანელ თალეზ რივასს შეხვდა. ვიზიტის ფარგლებში გიორგი ჩოგოვაძე სამხრეთ კორეის ტურიზმის მინისტრთან გამართა მოლაპარაკება. შეხვედრაზე ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების საკითხებზე იმსჯელეს.



„პია“

ინტერ-ლურსაბანაშვილი
593-51-52-04

მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრი სახალხო დამცველს, გაერო-ს ბავშვთა ფონდსა (UNICEF) და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას მიმართავს, შეისწავლის და შესაბამისი კვალიფიკაცია მისცენ 2015 წლის 15 ოქტომბერს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გასულ გადაცემა „პროფილს“. ცენტრის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ გადაცემაში, რომელიც მოზარდებში ძალადობასა და სუიციდის შემთხვევებს ეხებოდა და რომელშიც, ერთ-ერთი თვითმკვლელი ბავშვის ოჯახის წევრები, ახლობლები და კლასელები მონაწილეობდნენ, უხეშად დაირღვა ბავშვთა უფლებები. მიმართვაში ნათქვამია, რომ გადაცემაში მოხსენიებული ფაქტობრივი გარემოებები და სიუჟეტები, იძლეოდა ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა იდენტიფიცირების საშუალებას. ნამყვანმა რამდენჯერმე გაუსვა ხაზი სკოლის დირექტორისა და პედაგოგების დანაშაულს, რაც უდანაშაულობის პრეზუმპციის უხეშად დარღვევაა. ექვს ინვესტს იმ ინფორმაციის სანდოობა და სიზუსტეც, რომელზე დაყრდნობითაც ბრალდებები გაუდგინდა. გადაცემის ავტორებმა და მონაწილეებმა, გააორტიკეს და თითქმის ბრალდებულებად გამოაცხადეს გარდაცვლილის თანაკლასელები და მთლიანად სკოლა, რითაც პირდაპირ და ირიბად დაირღვა ბავშვთა უფლებები. ვინაიდან მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და გამოძიება ჯერ არ არის დასრულებული, შესაბამისად, ვინმეს ბრალულობაზე საუბარს ცენტრში არამიზანშეწონილად მიიჩნევენ. „დაუშვებელია, გარდაცვლილის თანაკლასელების სუიციდის ფაქტთან დაკავშირება. დაუშვებელია მომხდარის განზოგადება და ღია განცხადებების გაკეთება, თითქოს სკოლებში მასობრივად ხდება ძალადობა, მათ შორის სექსუალურიც...“, — ნათქვამია ცენტრის მიმართვაში. იმის გასარკვევად, რა მიზანს ისახავს ეს მიმართვა და რა საფრთხეს შეიცავს მსგავსი შინაარსის გადაცემები, „ვერსია“ მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელს, ფსიქოლოგ ლევან ზარდალიშვილს დაუკავშირდა.

— შემამოფთვებელია მედიის მხრიდან, მოზარდებზე, მათი თანდასწრებით თუ მონაწილეობით ისეთი განცხადებების გაკეთება და მოუხების მომზადება, რომელიც ბავშვების ინტერესების დაცვისა და მხარდაჭერის ნაცვლად, ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს, საფრთხეს უქმნის მათ ფსიქიკასა და ემოციური განვითარების პროცესს, აღვიძებს შუღლს და უარყოფით გავლენას ახდენს თანატოლებთან შემდგომ ურთიერთობაზე. ზოგადად, ძალადობის თემებზე სატელევიზიო სიუჟეტები თუ საგაზეთო სტატიები დიდი სიფრთხილითა და შესაბამისი ნორმების დაცვით უნდა მომზადდეს.

— თუ ასეა, რატომ თქვით უარი აღნიშნულ გადაცემაში მონაწილეობაზე?

— როდესაც დამირეკეს და გადაცემაში მიმიწვიეს, ვუთხარი, თუ ისაუბრებთ ზოგადად, ძალადობის შესახებ, სიამოვნებით მოვალ, მაგრამ თუ სუიციდზე უნდა ილაპარაკოთ, არ მივიღებ მონაწილეობას. სუიციდოლოგი ვარ, პრაქტიკოსი ფსიქოლოგი და სუიციდზე მსჯელობა ასეთი ფორმით დაუშვებლად მიმაჩნია! მით უმეტეს, როცა საქმე ეხება მცირეწლოვან ბავშვებს. კვლევები და ფსიქოლოგთა დასკვნები ადასტურებს, რომ არასრულწლოვნების სუიციდზე ყურადღების გამახვილება, უარყოფით გავლენას ახდენს მათ ფსიქოსოციალურ და ემოციურ მდგომარეობაზე. ნებისმიერმა სიტყვამ თუ ფრაზამ შესაძლოა მთლიანად შეცვალოს ბავშვის მომავალი ცხოვრება და გამოუსწორებელ შედეგამდე მიგიყვანოს. ასეთი სახის გადაცემამ შეიძლება სუიციდის ტალღა გამოიწვიოს. როცა ასეთი ფორმით გესაუბრებიან, რა კეთილშობილური მიზანიც უნდა გაქონდეს, შეიძლება უარყოფითი შედეგი გამოიღოს, ამიტომ, როდესაც გთხოვ, რომ ამ ფორმით ნუ გააკეთებ გადაცემას და მაინც აკეთებ, რატომ უნდა ელოდებოდე, რომ ეთერში მივალ? სხვათა შორის, როცა ის ტრავმულია დატრიალდა, რომელზეც გადაცემაში საუბრობდნენ, „რუსთავი 2“-ის



მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიის ცენტრი „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ

— არც ისაა სიმართლე, რომ ფსიქოლოგიური ცენტრი თავის ფუნქციას არ ასრულებს? გადაცემაში, თქვენი უწყება უმოქმედობაში დაადანაშაულეს. მომხდარის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია თუ გქონდათ და რა რეაგირება მოახდინეთ?

— რა თქმა უნდა, ინფორმაცია მივიღეთ თუ არა, რეაგირება მოვახდინეთ. მაშინ თელავის ცენტრი ჯერ არ იყო გახსნილი და თბილისიდან ჩავიდა ჩვენი ჯგუფი. იმ სოფელში ძალიან დაძაბული ვითარება დაგვხვდა. მოზარდის თვითმკვლელობა, ფაქტობრივად, მის რამდენიმე თანაკლასელს დააბრალებს, რაც თავისთავად, არასწორია. ადამიანი ყოველთვის ეძებს განტვივების ვაცს, ვიღაც აუცილებლად უნდა იყოს დამნაშავე... თანაკლასელის გარდაცვალებით მიღებული სტრესის შემდეგ, ბავშვების ფსიქოლოგიური მოკიდან გამოყვანას, სასწავლო პროცესში მათ დაბრუნებას, ჩვენი წარმომადგენლები გარკვეული პერიოდი ცდილობდნენ. რამდენიმე ბავშვი, სხვა სკოლაშიც გადაიყვანეს მშობლებმა და ვითარება განიოხტა. შესაბამისად, იმ ეტაპზე ჩავთვალეთ, რომ მეტი ჩარევა საჭირო არ იყო, რადგან ამ მხრივ ზედმეტ აქტიურობასაც შეიძლება შექონდეს უკუარქვია. ზოგადად, ბავშვებს ახასიათებთ, როდესაც ერთმანეთს აბრაზებენ. ამ დროს ჩვენი მოვალეობაა, ყურადღება გადავატანოთ, ღირებულებებზე ფიზიკურ აქტივობაზე და სხვა. დაუშვებელია, ბავშვი მოძალადედ და კაცობრივად გამოიყვანოს, თანაც საქვეყნოდ, იმის გამო, რომ თანატოლს აბრაზებდა. ამის მაგივრად, უნდა იმუშაო, რომ ბავშვმა ქვეყნის სიკეთეს, ამავე ფაქტების დაფიქსირებასა და გასაჯაროებას, თანაც, იმ ფორმით, როგორც „პროფილში“ ვნახეთ, კარგი შედეგი არასოდეს მოაქვს. ახლაც ასე მოხდა — გადაცემის შემდეგ სოფელში ვითარება ისევ დაიძაბა. ისევ გახდა აუცილებელი ჩვენი ჩასვლა. ცუდად, რომ იქ უფროსების პრობლემაცაა — ისინი რომ არ ეროვნებენ, ბავშვებშიც არ იქნებოდა ასეთი დაძაბულობა. გადაცემამ თანაკლასელებში და სოფელში, ემოციების ესკალაცია ხელახლა გამოიწვია. ახალი შუღლისა და დეპრესიული მდგომარეობის პროვოცირება მოხდა. მოზარდებთან მუშაობა ფსიქოლოგებს ამჯერად უფრო გაუჭირდათ, რადგან ისინი საკუთარ თავში ჩაიკეტნენ, დაარტყნენ ფსიქოლოგების ნდობა და გაუცხოვდნენ მათ მიმართ. ეს კი, ახალი ტრავმის რისკს წარმოადგენს. არავის აქვს უფლება, ბავშვების ემოციები და სიცოცხლე რისკის ქვეშ დააყენოს.

— სოფელში ამჯერადაც თბილისიდან რატომ ჩავიდნენ ფსიქოლოგები, თუკი თელავის ცენტრი მუშაობს? ზოგადად, რამდენი ცენტრი ფუნქციონირებს საქართველოს მასშტაბით და მათი მთავარი მისია რა არის?

— აქედან იმითომ ჩავიდნენ ფსიქოლოგები, რომ იგივე ჯგუფი გავაზავნეთ, რომელიც ადრე იყო. ისინი სოფელში ვითარებასაც იცნობდნენ და ხალხსაც. დღეს, ქვეყნის მასშტაბით, 6 ცენტრი ფუნქციონირებს: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, თელავსა და გორში. ცენტრების გახსნას გვეგმავეთ რუსთავში, ზუგდიდსა და ოზურგეთში. ფსიქოლოგიური ცენტრები, მოსწავლეების ფსიქო-ემოციური და ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისა და მოზარდებში ძალადობის პრევენციის ემსახურება. სკოლებში აქტიურად მუშაობს ფსიქოლოგების მობილური ჯგუფები. 6-18 წლამდე ქვეყნითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვებს, მოზარდებსა და მათ ოჯახებს, უფასო, კვალიფიციური ფსიქოსოციალური მომსახურება უზრუნველდება. ასეთი სერვისით უზრუნველყოფილია ყველა სკოლა. შედეგად, სკოლებში შემცირდა დაძაბულობა, მომართვიანობა კი, საგრძნობლად გაიზარდა. ჩვენთან ფსიქიატრებიც მუშაობენ. ნამლებს არ უნიშნავენ ბავშვებს, მაგრამ მშობლებს კონსულტაციას უწევენ და მიმართულებას აძლევენ. მისარია, რომ ხშირად ვენხმარებით ისეთ ბავშვებს, ვისაც არ აქვთ ფსიქოლოგიური თერაპიის საშუალება, რადგან ეს საკმაოდ ძვირია. დღეს მანდატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, ძალადობის მსხვერპლი, ფსიქოლოგიური ან ემოციური პრობლემების მქონე ბავშვების იდენტიფიცირებაცაა. მანდატურს გაუჩნდება თუ არა ეჭვი, მიმართავს დირექტორს, დამრიგებელს, მშობელს, დაგვიკავშირდება ჩვენ. ჩვენ კი, უფასო მომსახურებას შევთავაზებთ და თუ მოშელი და მოზარდი დაგვთანხმდა, სიამოვნებით დავეხმარებით. თუ მანდატურმა შეამჩნია, რომ ბავშვი ოჯახური ძალადობის მსხვერპლია, სოციალურ სააგენტოს ანვდის ინფორმაცია. სადაც მანდატურები არ არიან, იმ სკოლებში, დირექციის წარმომადგენლების გადამზადება ხდება, რათა მათ ასეთი ბავშვების ამოცნობა შეეძლოს.

— თქვენთან მომართვის მაჩვენებელი როგორია?

— პირველ წელს ეს რიცხვი დაახლოებით 270 იყო. მეორე წელს 400-მდე და წელს, ნახევარ წელიწადში, 600-ზე მეტი ბავშვი გვყავდა. სტატისტიკა იზრდება.

— მომართვიანობის ზრდა ნიშნავს თუ არა, რომ სკოლებში პრობლემებია და ძალადობის ფაქტები გახშირებულია?

— არა, ძალადობის ფაქტები შემცირებულია და ამას შესაბამისი სტატისტიკა მოწმობს. ჩვენთან მომართვიანობის ზრდა ნიშნავს, რომ მშობლებმა, მეტ-ნაკლებად, გააცნობიერეს ჩვენი სამსახურის მისია და ის, რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვებთან ფსიქოლოგების მუშაობა. მსოფლიო სტატისტიკიდან გამომდინარე, ითვლება, რომ ბავშვების 8-10%-ს ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდება. დავარცხნილ შეიცარაბივც კი, ეს მაჩვენებელი, 10%-ია. ჩვენთან შეიძლება ოდნავ მეტი იყოს, მაგრამ ამას ბევრი მიზეზი აქვს — მძიმე სოციალური ფონი, ფსიქოლოგიური სტაბილურობის მიუღწევლობა, ოჯახებში დაძაბულობა, ტელეეთერიდან უმეტესად ნეგატიური ინფორმაციის მიღება. ეს ყველაფერი, საერთო ფონს ქმნის, რაც პირველ წელს ბავშვებზე მოქმედებს, ამიტომ ვამბობ, როდესაც საქმე ბავშვთა ფსიქოლოგიას ეხება, ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართება.

ფურნალისტმა კომენტარი მთხოვა და იქაც დავაფიქსირე, რომ ამ საკითხზე საუბარი არ შეიძლება.

— ჟურნალისტებს ვერაფერს უკრძალავს, ამა თუ იმ ფაქტის შესახებ საზოგადოებას აცნობოს...

— დიას, დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ჟურნალისტს უფლება აქვს, გააშუქოს ყველაფერი, მაგრამ ხომ არსებობს ეთიკის ნორმები, რომლებიც უნდა დაიცვა, მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება ბავშვებს! არ ვამბობ, რომ საერთოდ არ შეიძლება სუიციდზე საუბარი, მაგრამ არსებობს გარკვეული ფორმა, რომელიც ამ საუბრის დროს უნდა გავითვალისწინოთ. ფსიქოლოგებმა და სუიციდოლოგებმა კარგად იციან, რომ პირველი ფაქტი, რაც შეიძლება მოყვას სუიციდზე საუბარს, 1775 წელს დაფიქსირდა, როცა დაიბეჭდა „ახალგაზრდა ვერტერის გენბანი“. ამ ნაწარმოების გამოსვლას სუიციდის ტალღა მოყვა. მას შემდეგ ასეთი ფაქტები ბევრჯერ დაფიქსირებულა. სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა დროს ასახელებს, რომელიც საშიშია ასეთი გადაცემის გასვლის შემდეგ. ზოგი ფიქრობს, რომ 10 დღის განმავლობაში შეიძლება მოიმატოს თვითმკვლელობის შემთხვევებმა, ზოგი უფრო ხანგრძლივ პერიოდზე საუბრობს. დიდი სიფრთხილია საჭირო და გარკვეული წესების დაცვა. როგორც 15 ოქტომბერს ვნახეთ, ასეთი სახით, ასეთი ემოციებით, ასეთი შოუს დადგმა, სრულიად დაუშვებელია.

— ეს დასაშვები იყო გარდაცვლილის ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც სტუდიაში იყვნენ.

— ეს არცაა გასაკვირი, რადგან ხშირად, ჭირისუფლებისთვის, ნებისმიერი საუბარი გარდაცვლილზე, მისაღებია. თითქოს შვებას გრძნობენ. გასაკვირი ისაა, რომ ასეთი გადაცემების მომზადებისას, კონფიდენციალობა მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული, რაც დაირღვა — ნამყვანმა თქვა, სოფელს არ დავასახელებო. როცა ოჯახის წევრები ეთერში გიზის, იმ სოფლის მკვიდრებმა მაინც ხომ ზუსტად იციან ვიხეა საუბარი? სახელს და გვარს არ დავასახელებ, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეაო, ეს დაახლოებით ამ ოპერედიანაა. აღარაფერს ვამბობ, რომ არასწორად იყო გაშუქებული ფაქტები. მაგალითად, როცა თქვეს, რომ ვიღაც 70 წლის კაცმა, მეხუთეკლასელი გოგონას გაუპატიურება სცადა. ეს არ შესაბამებია სიმართლეს. გარდა ამისა, როცა ამბობ სკოლას, კლასს და ამბობ, რომ ის ბავშვი დადის ცეკვაზე, აჩვენებს მისი ჭიშკარი, ფაქტობრივად, ნებისმიერ ადამიანს აძლევს იდენტიფიცირების საშუალებას. ეს არის კონფიდენციალობის ისეთი უხეშად დარღვევა, რის გამოც, ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, რედაქციას თუ ტელეკომპანიას, ძალიან დიდი ჯარიმის გადახდა მოუწევდა. ჩვენთან ამას რატომ არავინ აკეთებს, არ ვიცი.

— ჩვენთან არის მოლოდინი ექვემდებარება თქვენი მიმართვის მთავარი მიზანი რა არის?

— კარგი იქნება, თუ ჩვენი მიმართვის ადრესატები შესაბამის რეაგირებას მოხდენენ. როგორ შეიძლება გასაჯაროვო კონფიდენციალური ინფორმაცია? გამოძიება არ არის დასრულებული არ როგორ შეიძლება უკვე ბრალი დასაო ვიღაცას? როგორ შეიძლება, ერთ, ან თუნდაც რამდენიმე ფაქტზე დაყრდნობით, ისე გამოიყვანო, თითქოს ჩვენს სკოლებში არის გაშუქებული ძალადობა, შური, მტრობა, გაუტანლობა, გაუპატიურება? ასე ნამდვილად არ არის, ეს არ არის სიმართლე!

პარსიანიუსი

თამარ სანიქიძე ჩხორონყუს რაიონის სოფელ ჭოლას საჯარო სკოლა მოინახულა

განათლების მინისტრი რეგიონებში განახლებული სკოლების მონახულებას და ადგილზე არსებული საჭიროებების გაცნობას აგრძელებს. ამჯერად, მინისტრი ჩხორონყუს რაიონის სოფელ ჭოლას საჯარო სკოლას ეწვია, ზაფხულის პერიოდში განხორციელებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო და სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს დავით დიხამინჯიას სამინისტროს ჯილდო — სამკერდე მიზანი „ამაგ-დარი“ გადასცა. სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ კიდევ ერთი სტრატეგიული მნიშვნელობის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულების რეაბილიტაცია განხორციელდა. ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოლას საჯარო სკოლის მეორე სასწავლო კორპუსში დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეები სწავლობენ. აქ წლების განმავლობაში არ ჩატარებულა სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოსწავ-



ლებს უკიდურესად მძიმე პირობებში უხდებოდათ სწავლა და ამის გამო, მოსახლეობა სოფელსაც კი ტოვებდა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, წელს სასწავლო კორპუსს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლეები სრულიად განახლებულ, თანამედროვე სტანდარტების სკოლაში აგრძელებენ სწავლას. სკოლა აღჭურვილია ახალი ინვენტარით და ტექნიკით, მოეწყო სკოლის ეზო, სკოლის შენობა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, სკოლას ემსახურება სასკოლო ავტობუსი. განახლებულმა სკოლამ ბევრი ბავშვი მეზობელი სოფლებიდანაც მოიზიდა. სოფლის სკოლაში ბევრი წარმატებული პედაგოგი მოღვაწეობს, მათ შორისაა ბატონი დავით დიხამინჯია, რომელიც 2006 წლიდან ისტორიის პედაგოგად მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ მალე მას 90 წელი შეუსრულდება, ის ძველებური ენერჯითა და ენთუზიაზმით უძღვება ისტორიის გაკეთილებს. ბატონი დავითი პედაგოგობამდე განათლების სისტემაში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა და ყველგან იყო წარმატებული. დავით დიხამინჯიამ დამსახურებულად მიიღო ჯილდო, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების სისტემის თანამშრომლებს, მომავალი თაობის აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის გამო გადასცემს.

„დედა პატიკი მწერალთა კავშირისა და მთავრობისა, მე ყველას ვეჯავრები, კარგად ვწერ და შურით!“

ბათო ჯაფარიძე

ჟურნალისტები დამეთანხმებიან, დილით რომ რედაქტორის ხარი გაღვიძებს, დიდად სასიამოვნო არ არის. ორი (ორადორი) ვარიანტია ამ დროს — ან წინა დღით დაწერილ სტატიას ვინმემ „გაჭედა“, ან ახალ დავალებას გაძლევს. თათბირის გარეშე დავალება კიდევ ისეთია, სასწრაფოდ რომ უნდა გააკეთო და რაც მთავარია, ხარისხიანად. ჰო, ის სულ დამავინწყდა მეთქვა, რომ რედაქტორი ამ დროს სულ გეკითხება — გაგაღვიძე?! და, რაღა თქმა უნდა, პასუხობ, რომ — არა... მოკლედ, სექტემბერი ბოლო დღეს ითვლიდა, რედაქტორმა რომ დამირეკა და მისალმების შემდეგ მითხრა — „წყნეთში უნდა წახვიდე და არჩილ მღებრიშვილთან ინტერვიუ ჩაწერო“. გონებაში მღებრიშვილები „გადაფურცლეს“ — სპეცრაზმის ყოფილი შეფი... ამჟამინდელი მინისტრი... მინისტრის მოადგილე... ბოლოს და ბოლოს, მომღერალი სტეფანეც მღებრიშვილია, მაგრამ არჩილი არცერთი არ არის. „გალაკტიონის მძლოლია... ყოფილი მძლოლი“, — ისე მშვიდად მითხრა რედაქტორმა, მივხვდი, პირველი მღელვარება თავად მას გადატანილი ჰქონდა და ახლა ჩემს რეაქციას ელოდა. გალაკტიონს გონებაში ფურცვლა არ სჭირდება, ერთია... ერთადერთი... „ცოცხალია? რამდენი წლის არის? ნაღდად იმის მძლოლია?!“ — ვერცერთი ყავა ვერ გამომაფხიზლებდა ისე სწრაფად, როგორც ამ ორმა სიტყვამ.

„ჰო, ცოცხალია და ერთი სული აქვს, როდის მიხვალ და ინტერვიუს ჩაწერ. ტელეფონი უკვე დაგიმეხიჯე, აბა, შენ იცი“, — მითხრა რედაქტორმა და თავი მართლა სიზმარში მეგონა...



გალაკტიონის მძლოლი — არჩილ მღებრიშვიდი ჰოების მეფესთან 5-ნდიანი სამსახურის უფნობ დეცადებს გვიამბობს

ბატონი არჩილის სახლს კითხვა-კითხვით მივავაგნი. წყნეთელი ისე მშვიდად მეუბნებოდნენ, კი, აქ ცხოვრობს გალაკტიონის მძლოლი, კინაღამ გადავირიე. როგორც ჩანს, ამ კაცისგან თავად ყველაფერი მოსმენილი აქვთ-მეთქი, ეგ ვიფიქრე და ის ჭიშკარი შევადე, საიდანაც „მთაწმინდის მთვარე“ უნდა დამენახა. აივანზე მდგარ ბერიკაცს მივესალმე და ვკითხე — არჩილ მღებრიშვილი აქ ცხოვრობს-მეთქი? „მე ვარ არჩილი. რა ხდება?!“ — მხნედ იკითხა მოხუცმა. „ინტერვიუს ვარ მოსული, ბატონო არჩილ, ბევრ დროს არ წაგართმევთ“.

„ჰო... ინტერვიუ... არა, დღეს რაღაც ვერ ვარ გუნებაზე, შეუძლოდ ვარ ცოტა, სხვა დროს მოდი“, — გადმომძახა ზემოდან და ოთახში შებრუნდა. დამცეცხლა — აქამდე მოვედი, გალაკტიონის მძლოლი ხელის ერთ განვდენაზე და... კიბეებს

ლებთან ერთად... ეს გალაკტიონის „პაბედა“, მაგით დამყავდა. მერე მე ვიყიდე. მართლა სუსტად ვარ და ეგებ დროზე მკითხო, რა გაინტერესებს.

— ბატონო არჩილ, რამდენი წელი იმუშავეთ გალაკტიონთან?

— სრული ხუთი წელი. მერე მანქანაც გაყიდა და მძლოლიც არ ჰყოლია. მე ვიყავი მისი ბოლო მძლოლი. მანამდე ვინც ჰყავდა, ის არ მოსწონდა, ორჯონიკიძეში „ხალტურაზე“ დადილი და მაგიტომ გაუშვა. წერეთელი იყო, თუ არ ვცდები, ის მძლოლი.

— თქვენ როგორ მოხვდით გალაკტიონთან?

— ფიზიკულტურის კომიტეტში ვმუშაობდი გიორგი სიხარულიძესთან. ის იყო თავმჯდომარე. გალაკტიონს მისთვის უთქვამს, წყნეთელი ბიჭი მინდა, მეც წყნეთში ვცხოვრობ და სახლში რომ მიმიყვანს, მანქანა ჩემს ეზოში უნდა დააყენოს, „ხალტურაზე“ რომ არ ირბინოს. მოვიდა გალაკტიონი... ვიცი, ვინც არის, მაგრამ აბა რა ვიცი, რაზეა მოსული. მეძახის სიხარულიძე, არჩილ მოდი, ეს კაცი შენთან მოვიდაო. გამიკვირდა, ჩემთან რა უნდა უნდოდეს-მეთქი. მივედი, ხელი ჩამოვართვი, მეზობლები ვართ, ბატონო გალაკტიონ, გიცნობთ-მეთქი. სიხარულიძემ მითხრა, შენს თავს მთხოვს, მძლოლად უნდისარო. როგორი სათქმელია უარი?! მითხრა, არ გეწყინოს, მაგრამ საღამოს მანქანა ჩემს ეზოში უნდა გააჩერო. მაშინვე დავთანხმდი.

— ჯამაგირი რამდენი გქონდა?

— ას მანეთს მაძლევდა...

— საკუთარი ჯიბიდან გაძლევდა?

— რა თქმა უნდა. მანქანა მისი იყო და მძლოლიც, ანუ მეც თავად მიქირავა. ვთხოვე, ვასილიჩ, სადმე გამაფორმე, სტაჟი რომ არ დავკარგო-მეთქი. გამაფორმა პროფკავშირებში და ვმუშაობდი გალაკტიონთან. პოეზიის, ლექსის მეფე დამყავდა მანქანით. უფრო სწორედ, კაცი, რომელსაც ყველა პოეზიის მეფედ იცნობდა, მაგრამ რეალურად ძალიან, ძალიან საბრალო იყო.

— რატომ, ბატონო არჩილ?

— ჩემს ხელში ეგრე იყო და იმის წინ რა იყო, არ ვიცი. მართლა, საცოდავი იყო ცხონებული...

— მაშინაც კი ყველა პატივის სცემდა, აღიარებდა და რამ გაასაცოდავა?

— ვუთხარი კიდევ ერთხელ, ვასილიჩ, ამხელა გენია კაცი ხარ, ხალხმა თუ მთავრობამ აღარ იცის, რა ქნას, რა გაგიკეთოს, რით გცეს პატივი და რამ გაიძულა, ამ კონიას რომ აკედები და ყოველდღე სვამ-მეთქი. რამდენჯერმე ვუსაყვედურე და ერთ დღესაც დაიწყო მოყოლა. ქალი მიყვარდა, ძალიან მიყვარდა... სახელი არ მითხრა... ძალიან მიყვარდა. ცოლად შევირთე, სამი თვის შერთული მყავდა, მარჯანიშვილის 4 ნომერში ცხოვრობდა თურმე მაშინ, მეორე სართულზე. სამი თვის თავზე, ღამით დამიკაკუნეს და გამიკვირდა, ვინ ხართ, იცით, რომ გალაკტიონის კარზე აკაკუნებთ?! ბოდიში, ბატონო გალაკტიონ, მაგრამ სამსახურებრივ მოვალეობას

ვასრულებთ, „კა-გე-ბე“-დან ვართო. ნამობრძანდით, ბატონო გალაკტიონ და იქ გაარკვიეთ საქმეო (ბატონ არჩილს ცრემლი მოერია, გალაკტიონზე სხვანაირად ვერ ვსაუბრობო, მომიბოდიშა). ჩაიცი და ცოლსაც ჩააცვიო. ცოლი რაღად გინდათო, უკითხავს გალაკტიონს. ბრძანება გვაქვს ეგეთი და იქ გაარკვიეო. ნაჰყოლია გალაკტიონი ცოლთან ერთად ჩეკისტებს. „სტავარნი“ ვაგონებში ჩაგვყარეს, ქალები ცალკე, კაცები ცალკე და მოგვიხურეს კარი. რამდენიმე დღე ვიარეთ და როგორც მერე გავარკვიეთ, მოსკოვამდე ჩავედით. იქ გაგვიღეს კარი და გვითხრეს, აქ სამი დღე ვიქნებით და მერე ციმბირის გზას გაუყვებითო. მიმხვდარა გალაკტიონი, ვიღუპებო, მაგრამ რა უნდა ექნა? ჰოდა, ერთ დღეს, ვაგონში მყოფმა გალაკტიონმა ნაბიჯების ხმა გაიგო. მაშინ ქალებს ქუსლებზე რკინები ეკეთა და ეს ბაკა-ბუკი გაიგო თურმე. მივხვდი, ქალი რომ იყო და დაეფუძახე, ესა და ეს კაცი ვარ, წერილს დაგინერ და ეგებ სტალინის მისამართზე გაუშვა კრემლში-თქო. ბლოკნოტი და კალამი დაუტოვებიათ ჩეკისტებს, პოეტა, დაჯღაბნის რამესო. დაწერა ბარათი და იმ ღვთისნიერმა ქალმა მართლა ჩააგდო თურმე საფოსტო ყუთში. ორი დღის შემდეგ, გაიღო ვაგონის კარი და გალაკტიონი იკითხეს ჩეკისტებმა, სტალინი გიბარებსო. მისულა სტალინთან და იმას სულ ფეხები უბრაგუნებია, მე თქვენი დედა ვატირე, ამისთანა ხალხის დაჭერა ვინ დაგავალათო.


თბილად მიუღია სტალინს, ესაუბრა და მერე ტელეფონის ნომერი მისცა, ეს ჩემი შიდა ტელეფონია, გოთვერანი ხალხით არის სავსე ქვეყანა და თუ გაგიჭირდეს, ამ ნომერზე პირდაპირ მე დამირეკე, კიდევ არ დაგიჭირონო. გალაკტიონს უთქვამს, ცოლიც დაჭერილიაო. სასწრაფოდ გაგზავნა ხალხი და რომ მოვიდნენ, ასე უთხრეს, მეორე დღეს ვაგონში ინფარქტით მოკვდაო. ტყუილი თურმე. მერე გავიგე მე... რამდენად მართალია არ ვიცი, მაგრამ ასე ამბობდნენ, ბერიას მოსწონდა ლამაზი ქალები, იჭერს, ერთ ღამეს გაათევს მათთან და მერე ხოცავსო. რაღასა ჰქვამს, მე შენი დედა ვატირე, გაუშვი, გაიხაროს! ჰოდა, ეს რომ მომიყვა, მერე მკითხა გალაკტიონმა, შენ ჩემს ადგილზე რას იზამდი, დალევდი თუ არაო?!

— ცოლი შემდეგაც ხომ ჰყავდა გალაკტიონს და...

— მაცადე, გითხრა... მანამ მე მივიდოდი, ვიღაც რუსი ქალი ჰყოლია. ამ ქალმა რომ ნახა, ეს კაცი ყოველდღე მთვრალი მოდის და სახლში არაფერი მოაქვს, ვინ გაუჩერებოდა?! დაჰკრა ფეხი და გაიქცა. მერე იყო ოკუფაცა. ორი შვილი ჰყავდა. ძალიან კარგი ქალი იყო, ღმერთმა აცხონოს. მაგრამ, ეს კაცი ისე იყო გზიდან გადასული, ყოველდღე მთვრალი მიდიდა და საჭმელი არ მიჰქონდა. ერთ დღესაც მითხრა გალაკტიონის ცოლმა, დაგვხოცა შიშხილით, საჭმელი არ მოაქვს და ხორცი შენ იყიდე, მერე მე გამოვართმევ ამას ფულს და მოგცემო.

— მერე რა ქენით?

— მეორე დღეს, მომიყავს მწერალთა კავშირიდან და ვერის ბაზარში გადავუხვიე. აქ სად მიდიხარო, მკითხა გალაკტიონმა. ბაზარში-მეთქი და გაეცინა, ცოლმა დაგავალა პროდუქტებით? ჰო, ოღონდ ჩემმა კი არა, თქვენმა ცოლმა, ვასილიჩ-მეთქი. მშვირები არიან და ვიყიდოთ პროდუქტები, აგერ, ორი მანეთი ხორცი ღირს, ორი მანეთი ყველი, 15 კაპიკი კარტოფილი და გამოვა სადილი-მეთქი. გაგიყდა, ნერვები არ მომიშალო ახლო, მაგრამ მისული ვიყავი უკვე. შესასვლელში „კაპუსტა“ უყრია ერთ გორელს მანქანაზე. ვეუბნები, ესაც გვინდა, მაგრამ ჯერ ხორცი ვიყიდოთ-მეთქი. მე ხორცის რა ვიცი, შენ იყიდეო.



ავუყევი და ბატონ არჩილს მეორე სართულზე მოწყობილ სამზარეულოში წავანყი. ქვაბს დასტრილებდა. „მეუღლე აღარ მყავს და მე მიწევს ტრიალი. თან დიეტაზე ვარ, კრანხანებმა დამგლიჯეს ამას წინათ და ექიმმა, დიეტაო. ჰოდა, აგერ, სუპს ვამზადებ დიეტურს...“

აივანზე გამოვედი, ბატონი არჩილი კი ისევ ქვაბს დასტრილებდა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა... „ეჰ, დაბერდი, დაბერდი... როცა გალაკტიონთან ვიყავი, ბიჭი მაშინ ვიყავი, ახლა რაღა...“ მერე ოთახიდან გამოვიდა, მაგიდაზე სურათები დააწყო და მანიშნა, დაათვალიერეო. სურათებში პოეზიის მეფე უცნობ ადამიანებსა და ბატონ არჩილთან ერთად არის გადაღებული.

— ესენი ვინ არიან, ბატონო არჩილ?

— აბა რა გითხრა? ნახევარი საუკუნე გავიდა. აღარ მახსოვს... მწერლები იქნებიან, რა გვარები არიან, ვერ გეტყვი... ეს ჩარგალშია გადაღებული, ვაჟას იუბილეზე. ეს მასწავლებ-

„დედა ვაჭირი მწერალთა კავშირისა და მთავრობისა, მე ყველას ვეჯავრები, კარგად ვწერ და შურით!“

მე-7 გვერდიდან

ხუთი კილო მოვაჭრეები, ორი კილო წვნიანისთვის და სამი ცოლი მისთვის. გაგვიდა გალაკტიონი, რად უნდათ ამდენიო?! ყველაფერი ვიყიდეთ და მე ვუთხარი, ვასილი, შენ ახლა „კაპუსტა“ იყიდ, მე ამ ხორაგს მანქანაში ჩავდებ-მეთქი. მოვიდა ცოტა ხანში სამი თავი „კაპუსტით“ და დავიძარით წყნეთისკენ. თურმე თავისი პორტფელი, სულ რომ თან დაჰქონდა, იმ „მეკაპუსტესთან“ დარჩენილი დახლზე. მეც აღარ მივაქციე ყურადღება და წამოვედი წყნეთისკენ. მაშინ ამ გზაზე არ შეიძლება ამოსვლა, დაკეტილი იყო, მთავრობის იყო ეს გზა. მეუბნება, პირდაპირ წადიო. არადა, მისი სახლის გზა სხვა მხარეს იყო. რათა-მეთქი, ვასილი, აქეთ არ შეიძლება-თქო. მიდი, მე აქ ვარ, ნუ გეშინიაო. სად მიდიხარ-მეთქი და აგერ, იქეთ ტყე რომ ჩანს, საირმეს ვეძახით დღემდე, იქ ამიყვანე, მუზა მამივიდა და იქ უნდა გამიყვანოო. არადა, იქამდე მანქანა ვერ მიდიოდა. ვასილი, იქ მანქანები არ მიდის-მეთქი და რაო? — ილრიალა — გალაკტიონის მუზა მოუვიდა და შენ ადგილამდე მიყვანა არ გინდაო და გამადინა ერთი ჭახანი!..

— დაგარტყათ, ბატონო არჩილ?

— ჰო, ერთი სილა მაჭამა. აბა, ხმას ხომ ვერ გავცემდი... დავანეკი გაზს და მივიყვანე ხევამდე, სადაც გზა მთავრდებოდა. გადაგავლო ახლა აქ-მეთქი?! როდღარმუნდა, გზა არ არის, ბოლოში გენაცვალეო, მომეხვია და მაკოცა... წამოდი ახლა, შალიკოს რესტორანში შევრიგდეთო. წავედით შალიკოსთან, ოლონდ შენც დალიე, წყნეთში ვართ უკვე, სახლამდე კი ამიყვან და მერე ფეხით ნახვალ სახლშიო. მოატანინა ორი ბოთლი შავი ღვინო, ხუთი ნომერი, თავისთვის ორი ბოთლი სამი ნომერი კონიაკი. კონიაკს მხოლოდ სამ ნომერს სვამდა, სხვას არ ეკარებოდა. ერთი წინილი შეგვიწვინო, ყველი, პური, მწნილი. მეც ვსვამ, ქალაქში აღარ ვარ წასასვლელი. მოვრჩით ქეიფს და ხომ უნდა გადაიხადოს ფული. მოიკითხა პორტფელი და შემოირტყა თავში ხელი, სად დაგვარტყე ნეტავო და გაახსენდა, „კაპუსტა“ რომ მაყიდინე, იქ დავდე დახლზე, შენი ბრალიაო. დავეშვით ქალაქი ისევ, სად იყო მაშინ მოძრაობა, კვირაში ერთი მანქანა თუ შეგხვდებოდა.

— დაგხვდათ კომბოსტოს გამყიდველი?

— მაშ... დაინახა თუ არა გალაკტიონი, მაშინვე დაუძახა, მამაო, მოდი, აქ არის შენი პორტფელი. მამაო ეგონა წვერის გამო გალაკტიონი. თურმე პორტფელში ორი ათას მანეთზე მეტი ფული ჰქონია და ის ანუხებს. გავიდა გვერდზე, გახსნა პორტფელი, ჩაიხედა შიგნით და დაინახა ფულის პრესები. მოუბრუნდა და ამ კაცს ეუბნება, საიდან ხარო? გორიდანო — იმან. რა ღირს ეგ შენი „კაპუსტა“ მთლიანადო? რა ვიცი, მამაო, ასე, 50 მანეთამდეო, უთხრა. მერე, შე მამაცხონებულო, აქ ორი ათასი მანეთი იდო, აგელო და წასულიყავი გორში, სად მოგაგნებდიო. იმან კიდევ იუკადრისა, მე სხვისი ლუკმა არ მინდა, არ შემერგებაო. ასეთები იყვნენ მაშინ გლეხები.

— ხელგაშლილი იყო გალაკტიონი?

— არა, რას ამბობთ? ძუნწი იყო (იციანის). ოლონდ ფული არ გეხსენებინა და ყველაფერი გელაპარაკა. ისე კარგი კაცი იყო, ცხონებული, მაგრამ ძუნწი იყო და ტყუილს ხომ არ გეტყვი, ეს ყველამ იცის. მოკლედ, ამ ამბიდან მალევე მიბარებს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე და მეუბნება, გალაკტიონს წიგნი აქვს დასამთავრებელი და არ უნდა დააღვივინო. სათქმელად ადვილია, აბა, მიდი და არ დააღვივინო, თუ კარგი ბიჭი ხარ. მოკლედ, დილით გავუთხრე და მომეყვანა თბილისში. მაგის „ტორკეტი“ სულ ზეპირად ვიცავდი. კიოსკებში სვამდა ხოლმე, იქ იყიდებოდა კონიაკი და კანფეტები. „პავიდლოიან“ კანფეტს აყოლებდა ხოლმე კონიაკს, მეტს არაფერს. მოვიდვართ და მაგის სახლიდან ორას მეტრში იყო პირველი „ბუტკა“. ჯერ იქ გადაჰკარამდა ხოლმე. დავანეკი გაზს და მოვქრივარ. არ გავუჩერე იმ „ბუტკასთან“. არადა, ხელები ექავება, სისხლში ჰქონდა უკვე გამჯდარი და თუ არ დაღვივდა, ქავილი ეწყებოდა. მიყურებს გაოცებული. ჩავედი ვაკეში, ერთი არ გავუჩერე, მეორე, მესამე... ფილარმონიასთან ჰქონდა ერთი საყვარელი ადგილი, ხშირად სვამდა იქ და რომ მივუახლოვდით, საჭეს წაავლო ხელი, რას შერები, კაცო, მლუპავო? რა იყო, ვასილი-მეთქი და ვერ ხედავ, რა დღემდე ვარ, გამიჩერე ახლავეო. მე ვუთხარი, მარჯვენა ყურიდან არ მესმის, ხმამაღლა მითხარი-თქო და გავცდი იმ „ტორკასაც“. ყურიდან თუ არ გესმის, „პრავა“ ვინ მოგცა, მე იმის დედაო, შეიგინა. გამოვუტყდი, ასე და ასე იყო-მეთქი. იმათი დედაც ვატირე, მწერალთა კავშირისაც და მთავრობისაც, მე ყველას ვეჯავრებო. თუ ეჯავრები, რად მითხრეს, არ დააღვივინო, წიგნი დაამთავროსო? იმიტომ, რომ კარგად ვწერ და შურითო.

— როგორი „ხაზინი“ იყო. სხვა მძღოლი წესებს თუ დაარღვევდა, ან გზას ვინმე გადაგიჭრიდათ, მანქანაში არ იგინებოდა? ან ქალებს თუ აყოლებდა ხოლმე თვალს მანქანიდან?

— არა, რეაქცია არ ჰქონდა. გინება უყვარდა ხოლმე, მაგრამ ძირითადად მთავრობას და მწერალთა კავშირს აგინებდა. ქალებს რაც შეეხება... ერთხელ მითხრა, მარჯანიშვილის მოედანზე გამიყვანე, საქმე მაქვსო. კი ვიცი, რა საქმეც ჰქონდა, სარდაფი იყო ერთი იქ, უყვარდა ჩასვლა და გადაკვირა. მივიყვანე და მანქანა მოშორებით დავაყენე. წავიდა და

მივაძახე, ვასილი არ დალიო-მეთქი. არა, როგორ გეკადრება, როდის იყო ვსვამდიო, ისე მითხრა, კინაღამ მართლა დავიჯერე. დამთვრალა სარდაფში, მე მანქანაში ველოდები. გამოვიდა გარეთ და თურმე ერთი კასპელი ბიჭი საცოლესთან ერთად არის. ნიშნობა ჰქონია იმ დღეს და იცოდნენ ხოლმე მერე სალამოს კინოში წასვლა. ინდური ფილმი გადიოდა, „რაჯი“. ჰოდა, იმ კინოს სანახავად არის მოსული საცოლესთან ერთად. გამოვიდა მთვრალი გალაკტიონი, მოსწონებია ეს გოგო, მიეპარა უკნიდან და მკერდზე წაეცულლუტა... აბა, შენ რას იზამდი იმ ბიჭის ადგილზე? მოუტრიალდა და ხეთქა ცხვირ-პირში. იმასაც მღველი ჰგონებია, რას შერები მამაოო, ერთი დაუყვირია და მიდგა და მიდგა. ცხვირის ნესტო, ტუჩი, გახეთქილი ჰქონდა გალაკტიონს, წვერი მთლიანად სისხლით ჰქონდა შეღებილი. ამ დროს სტუდენტების ჯგუფს გამოუვლია, გალაკტიონს სცემენო, დაიძახა ერთმა და ეცნენ ამ ბიჭს,

— არა, არასდროს... უბეში შეინახავდა ხოლმე მაშინვე, თუ რამეს დანერდა და ვერ ვუბედავდი, წამაკითხე-მეთქი.

— თქვენ თუ იყენებდით გალაკტიონის სახელს?

— არა... თუ რამე მჭირდებოდა, ვეუბნებოდი. ეზარებოდა ხოლმე, მაგრამ მომეცებოდა. ამ სახლს რასაც უყურებ, რაც სის მასალა აქვს, სულ გალაკტიონის დამსახურებაა. მაშინ ხე-ტყე კუბამეტრი 120 მანეთი ღირდა, არადა, სახელმწიფო ფასი 63 მანეთი იყო. ვთხოვე, ვასილი, წამომეყვი, უთხარი, რომ შენ გინდა და თავის ფასში მოგცემენ-მეთქი. ჯერ ამიხტა, დამიხტა, არაო, მაგრამ ბოლოს წამომეყვა. მივედი და მართლაც, მაშინვე უთხრეს 63 მანეთად მოგცემთო. იქვე უთხრა, აქ ვეღარ მოვალ, მძლოლი ივლისო. ძალიან დიდი შეგება იყო ჩემთვის. ვინც მუშაობდა, იმათ მითხრეს, შენს „ხაზინს“ უთხარი, იაფად რომ ვუკეთებთ, „პივა“ მოგვიტანოსო. ვეტყვი-მეთქი და ყუთებით ავუტანე „პივა“. რაც იმათმა გალაკტიონი ლოცეს...

— და რატომ წამოხვედით გალაკტიონის გან?

— ათი თვე ჯამაგირი არ მომცა. მერე ვუთხარი, 10 თვეა ჯამაგირი არ მოგიცია, ხომ იცი, სახლს ვაშენებ და მჭირდება-მეთქი. ცოლიც ერხუბა, ფული გაქვს და რატომ არ აძლევო. გაბრაზდა. ათასი მანეთი უნდა მოეცა ერთად და მაგისთვის ათასი მანეთის გამომრთველი კაცი არ დადიოდა ქვეყანაზე. აღარ მინდა მანქანა, გავყიდოთ და იქიდან მოგცემ ფულსაო. წავიყვანეთ საბურთალოზე, ტროლეიბუსების პარკის უკან ახალი „ტალკუჩკა“ გახსნეს. მაშინ იქ იყო მანქანების ბაზრობა. აზერბაიჯანელები მოვიდნენ, 1200 მანეთი შემოგვაძლიეს. დათანხმდა გალაკტიონი და მე დავფიქრედი, 200 მანეთის გულისთვის მანქანას ვკარგავ-მეთქი. ავუბნიე იმ თათრებს გზა-კვალი, არ ვარგა ეს მანქანა, გატყუებთ-მეთქი და წამოვედი უკან. წყნეთში, სახლში რომ მივიყვანე, იქ ვუთხარი, ათასი მანეთი ხომ უნდა მომცე, ორასს დაგიმატებ და მანქანა მომეცი-თქო. მაშინვე დამთანხმდა და ცოლმა უთხრა, ამდენი ხანი გემსახურა, აჩუქე ის ორასი მანეთი, შენი სახელიც იქნებაო. გადაირია, შენ იცი, ორას მანეთად რამდენი ბოთლი კონიაკი მოდისო? და სახელი არც ისე მაკლია მეო. სამი მანეთი და 80 კაპიკი ღირდა მაშინ კონიაკი. არ მაჩუქა, პროცენტებიანი ვალი ავიღე, ჩავუთვალე 200 მანეთი და წამოვიყვანე მანქანა. თუ დაიჯერებთ, მაშინ წყნეთში მარტო მე მყავდა



საკუთარი მანქანა. ქორწილებზე სულ მე დავდიოდი.

— თავად არ უცდია მანქანის ტარება?

— არა, არასდროს ჰქონია სურვილი.

— ჭყვიში თუ ყოფილხართ?

— არასდროს. ერთადერთი გასვლა ჩარგალში გვექონდა და ეგ იყო.

— მას შემდეგ როგორი ურთიერთობა გქონდათ გალაკტიონთან?

— ძალიან კარგი. კულტურის მინისტრი იყო მაშინ ოთარ თაქთაქიშვილი. იმას დასჭირვებია მძლოლი და გალაკტიონმა უთხრა, ჩემთან მუშაობდა, ძალიან კარგი ბიჭი იყო, ის აიყვანეო. თავად მომეყვანა მინისტრი სახლში და მერე იმას ვატარებდი.

— გალაკტიონის ძმისშვილი და ნათესავები აქ ცხოვრობენ, წყნეთში... მათთან თუ გაქვთ ურთიერთობა?

— მქონდა, მაგრამ ახლა ვეღარ ვხედავ.

— წელან ახსენეთ, კომბოსტოს გორელმა გამყიდველმა ვერ იცნო გალაკტიონი... სხვები თუ ცნობდნენ, თუ ევატიყებოდნენ დასალევად?

— კი, როგორ არა... სურათებს იღებდნენ, დაინახავდნენ და მონივნებით გზას უთმობდნენ, გალაკტიონი მოდისო. ბუმბერაზი კაცი იყო.

— გალაკტიონის გარდაცვალების თქვენეული ვერსია როგორია, გვერათ, რომ თავი მოიკლა?

— ჩემეულის რა გითხრა, მაგრამ ის, რასაც მოგიყვებით, მე სიმართლე მგონია. როცა გავიგე, გალაკტიონი დაიღუპაო, წავედი საავადმყოფოში და ამბავი ვიკითხე. წიგნი ჰქონდა დასამთავრებელი და იმიტომ დაწვინეს, იქ არ დალეეს და დაასრულესო. ექთანი იყო ერთი, იმას მისცა გალაკტიონმა 25-მანეთიანი და უთხრა, სამი ნომერი კონიაკი და ერთი „პავიდლოიანი“ კანფეტი ამომიტანე, ხურდა შენი იყოსო. ამოუტანია იმ ქალსაც და დატრიალებით დაუღვივია გალაკტიონს. იმ დღეს შალვა დადიანის გასვენების დღე იყო. გალაკტიონს უთქვამს, პროცესია არ გამომაპაროთო, მაგრამ როცა პროცესიას ჩაუვლია, მერე უთქვამთ, ჩაიარესო. ფანჯრის რაფას შეახტა და ნახევრად ჩამოჯდა, გადაიხარა და გადავარდნილა. ვნახე ის ფანჯარა, არასტანდარტულია, მეც შევახტი და გადავიხარე და რომ არ დავეჭირე, მეც გადავვარდებოდი. მერე რომ თქვეს, ხელი კრესო, სისულელეა. ღმერთი იყო და ღმერთს ხელს ვინ ჰკრავდა?!

— გარეთ რომ გამოვედი, ბატონი არჩილის შვილები შემხვდნენ. ერთმა მითხრა, პატარა ვიყავი, გალაკტიონმა ჯიბიდან კანფეტი რომ ამოიღო და მითხრა, ასეთი ტკბილი ენა გექნებაო. ლექსების წერა დაწინაურე მას შემდეგ.

ბატონ არჩილს დავემშობებოდა და ძველ სურათებს ჩახედა, მალულად მოინძინდა ცრემლი და კარში მომძახა — ძალიან, ძალიან დიდი კაცი იყო გალაკტიონი, ქართველებს ასეთი არც გვყავდა და აღარც ვეყოლებო...
— არ გაკითხებდათ ხოლმე ლექსებს?

169-ე ბაგა-ბაღის ყოფილ დირექტორს, ფიქრია ჩახნაშვილს თაღლითობაჲი აღანაშაულაბენ

მაგა პანქილაძე

ორი დღის წინ რედაქციაში მოგვმართა მოქალაქე თინათინ ზარაფიშვილმა, რომელმაც გვიაგბო, როგორ აღმოჩნდნენ თაღლითობის მსხვერპლი მისი შვილი და სიძე. ბინა, რომელშიც მათ 6500 დოღარამდე გადახდაღეს, გაარემონტეს და ცხოვრობდნენ, მეპატრონემ არ გადაუფორმა და რამდენიმე თვეში გამოასახლა. გამომდინარე იქიდან, რომ ქალბატონი თინათინის მიერ ზრალდებული №169 ბაგა-ბაღის ყოფილი დირექტორი ფიქრია ჩახნაშვილი აღმოჩნდა, რომელიც სამსახურიდან ერთი კვირის წინ ფინანსური და სურსათთან დაკავშირებული დარღვევების გამო გაათავისუფლეს, გადაწყვიტეთ, პირადი დავა საჯარო გავგვხადა. ინფორმაციის გადასამონმებლად ფიქრია ჩახნაშვილსაც დაუკავშირდით, რომელმაც ზრალდებები უარყო, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით. მანამდე, თინათინ ზარაფიშვილი თავის ისტორიას გვიაგბობს:


— მე მყავს შვილი, რომელიც ოჯახით გირაოთი ცხოვრობდა. გარკვეული თანხა რომ დააგროვებს, ბინის ყიდვა გადაწყვიტეს. გაზეთში ვნახეთ განცხადება, რომ ვაზისუბანში, შანდორ პეტეფის №61-ში იყიდებოდა ბინა. დავერეკეთ, გვიპასუხა მაკლერმა მაია კოჭლამაზაშვილმა. შევეთანხმდით და მივედით სანახავად. შაჲი კარკასი იყო, მთლიანი ფართი 104 კვადრატული მეტრი, გადაუტახტავი. იქ დაგვხვდა ორ ქალი, ვინმე ფიქრია ჩახნაშვილი და მისი მეგობარი ლალი ბერიძე, რომლებმაც გვითხრეს, რომ მათ ბინა ერთად ჰქონდათ ნაყიდი. ის ნაწილი, რომელიც ჩვენ უნდა გვეყიდა, 54 კვ/მ. ფიქრია ჩახნაშვილს ეკუთვნოდა. გვითხრეს, პირველ ეტაჲზე, ამ თვეშივე, თებერვალში, უნდა მოგვეცეთ 5 000 დოღარი, დანარჩენი თანხა კი მარტის ბოღოს დაფარეთ. ბინას 30 000 დოღარად ყიდდნენ. ფიქრია ჩახნაშვილმა 5 000 დოღარი გადამარცხინა მაკლერის, მაია კოჭლამაზაშვილის ანგარიშზე, რაც ნოტარიულადაა დამტკიცებული. შემდეგ კიდევ მოგვთხოვეს 1500 დოღარი, რისი საბუთიც სამწუხაროდ არ გვაქვს — თანხა ხელზე მივეცით.

— ამის შემდეგ, ახალ ბინაში გადავიდნენ თქვენი სიძე და ქალიშვილი?

— ჩემმა სიძემ და ქალიშვილმა ბინაში რემონტი დაიწყეს. ფიქრია ჩახნაშვილი და მისი მეგობარი ლალი ბერიძე, რომელიც როგორც ახლა გავიგე, ბაღში მებაღედ ყოღია გაფორმებული, მოდიოდნენ და სარემონტო სამუშაოებს აკონტროლებდნენ, თითქოს კარგი ურთიერთობის დამყარებას ცდილობდნენ ჩემი შვილის ოჯახთან. რემონტის პერიოდში ყოველდღე ვახსენებდით ბინის გამდოფორმებას, რომელიც არც მათ კუთვნილებაში იყო, რადგან სამშენებლო კომპანიისთვის, „ამხანაგობა 2011“ თანხა სრულად არ ჰქონდა გადახდილი. ატყუებდა ჩემს სიძეს, პირდაპირ შენს სახელზე გადმოგაფორმებდა და ამ დაპირებებში აღმოჩნდა, რომ ბინა, თავის სიძეს, რეგავ მაისურაძეს ისე გადაუფორმა, ჩვენ არაფერი ვიცოდით. გადაიფორმეს ბინა და შანტაჲიც დაიწყო — მოუვარდებოდა ჩემს შვილს სახლში ამ ვითომ მაკლერ კოჭლამაზაშვილსა და ლალი ბერიძესთან ერთად და სახლის დაცლას სთხოვდა, ეს ჩემი ბინაა, ჩემს სიძეს ბაბუამისმა უყიდაო. რამდენჯერმე მიუვარდა ჩემს სიძეს ეს სამი ქალი უკვე სამსახურში, აშანტაჲებდნენ და შეილებით ემუქრებოდნენ. ჩემი სიძე ამიტომ ერიდება აშკარა დაპირისპირებას. ეშინია, შვილებს რამე არ დაუშავონ. ყველაფრის მკადრებელი ქალია. ბოღოს აღმოჩნდა, რომ სასამართლოში შეიტანა სარჩელი. ჩემი შვილი და მისი ოჯახი გამოასახლეს იმ ბინიდან და ქუჩაში დატოვეს.

— თქვენ არ მიმართეთ სასამართლოს?

— ავიყვანეთ ადვოკატი და სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ. ვითხოვთ გადახდილი თანხის და რემონტის ფუღის დაბრუნებას, მაგრამ ჯერჯერობით არაფერია ახალი. სასამართლომ ის ბინა დააყადაღა. არ გამოვრიცხავ, ვინმეს ეგ დაყადაღებული ბინა



„ჩვენი ოჯახი არაა ერთადერთი, ამ ქაღის აფერით კიდევ რამდენიმე ოჯახი დარჩა უბინაოდ“

მიყიდონ. როდესაც ჩვენს თანხას ვთხოვთ, გვეუბნება, ფული კოჭლამაზაშვილს მოთხოვეთო. კოჭლამაზაშვილი კი არსად ჩანს. ეს ფიქრია ჩახნაშვილი და მისი მეგობარი ლალი ბერიძე ერთად ყიდულობენ ბინებს და მერე ასე თაღლითობენ. ჩვენი ოჯახი არაა ერთადერთი, ამ ქაღის აფერით კიდევ რამდენიმე ოჯახი დარჩა უბინაოდ. ჩემ სიძეს, ამ ქაღის მისი მოტყუებულმა რამდენიმე ადამიანმა დაურეკა. ყველას არ აქვს ადვოკატის ფული, ზოგი გვთხოვდა, ჩვენზეც თქვით სასამართლოში. ფიქრია გვემაღებოდა, ტელეფონი გამოართო და მისამართი არ ვიცოდით. როდესაც სამსახურიდან გაათავისუფლეს, ტელეფონით შევიტყვე. ისიც არ ვიცოდით, რომ ბაღის დირექტორი ყოღილა. გავიგედი, მაგ ქალს ბაღში რა უნდა? როგორ შეიძლება ასეთი ადამიანი ბავშვებთან იყოს? ჩემი სიძის მამა ამ ნერვიულობამ იმსხვერპლა, ნევროზით დამიავადა შვილი, რომელიც დღემდე მკურნალობს. სიმწრით და წღობით ნაგროვები ფული მიითვისა, გაგვანადგურა მთელი ოჯახი, ჩემი შვილი ისე ნაგირავებ ბინაში ცხოვრობს და ასე უწევს მომთაბარეობა. ორი დღის წინ დამირეკა ამ ფიქრია, მლანძღა და მითხრა, ჭკვიანად იყავითო — გაიგო, რომ მეღის ჩართვა გადაწყვიტე.

ფიქრია ჩახნაშვილი, 169-ე საბავშვო ბაგა-ბაღის ყოფილი დირექტორი:
— თინათინ ზარაფიშვილს, ასეთ პიროვნე-

ბას არ ვიცნობ და საერთოდ, რომელ ბინაზეა ლაპარაკი, წარმოდგენა არ მაქვს. მე მაქვს ერთი ბინა, რომელიც ჩემს სახელზეა გაფორმებული, სადაც ვცხოვრობ. პასუხი უნდა ვაგებინო მას ამ ცილისწამებისთვის. თქვენი ნომერიც დავაფიქსირე და მოვითხოვ, რომ მისი კოორდინატები მომცეთ.

— ამტკიცებთ, რომ არ იცნობთ, ის კი თაღლითობაში გადანაშაულბით...

— არ ვიცი, ვინ არის და რა უნდა ჩემგან. ეს არის ძალიან საშინელი ცრუ დასმენა. პასუხი უნდა ვაგებინო ამის გამო. მე ერთადერთი ბინა გამაჩნია, სადაც მე და ჩემი შვილები ვცხოვრობთ. როგორ შეიძლება ასეთი რამის დაბრუნება? მე ვმუშაობდ ბაგა-ბაღის დირექტორად. ახლა ვარ გაათავისუფლებული, წამოსული, მაგრამ ვიბრძვი სამართლებრივად. არ ვიცი, მას რა დანიტერესება აქვს ამ ფაქტის მიმართ. მინდა ამის გარკვევა, თქვენც უნდა დამეხმაროთ ამაში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ იმას, რასაც ეს ქალბატონი ამბობს, სრული სიცრუეა.

ჩვენ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით ინტერნეტში მოვიძიეთ ინფორმაცია 169-ე ბაგა-ბაღის ყოფილი დირექტორის, ფიქრია ჩახნაშვილის უძრავი ქონების შესახებ, სადაც მის სახელზე არაერთი უძრავი ქონება იქნებდა. გთავაზობთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს.

პერსონიუსი

შსს-ს მახანძრე-მაშველი თორღვა თორღვაშვილი წღის „თბიღისზე მზრუნველი“ გახდა

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მახანძრე-მაშველი თორღვა თორღვაშვილი, „თბიღისობა 2015“-ის ფარგლებში, ქალაქ თბიღისის მერიის პროექტში წარდგენილ ნომინაციაზე ხალხის რჩეული და წღის „თბიღისზე მზრუნველი“ გახდა. მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ „თბიღისზე მზრუნველი“ ხმის მიცემის საფუძველზე, თავად აერჩიათ. „თბიღისზე მზრუნველის“ ნოდება ყოველწლიურად იმ მოქალაქეებს ენიჭებათ, ვინც საკუთარ საქმეს უანგაროდ ემსახურება, ზრუნავს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დედაქალაქის განვითარებაში.

წღის „თბიღისზე მზრუნველი“ თორღვა თორღვაშვილი უკვე 13 წელია მახანძრე-მაშველია. 13 ივნისს ქალაქ თბიღისში მომხდარი წყალდიდობის დროს მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა და დიდი წვლილი შეიტანა სტიქიის შედეგების საღიკვიდაციო სამუშაოებში.

მოქალაქეების რჩეულის გამოვლენა და „თბიღისზე მზრუნველის“ დაჯიღდოების ცერემონია რიყის პარკში გაიმართა. გამარჯვებული მახანძრე-მაშველი თბიღისის მერმა დავით ნარმანიამ პირადად დააჯიღდოვა.



შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მახანძრე-მაშველი თორღვა თორღვაშვილი, „თბიღისობა 2015“-ის ფარგლებში, ქალაქ თბიღისის მერიის პროექტში წარდგენილ ნომინაციაზე ხალხის რჩეული და წღის „თბიღისზე მზრუნველი“ გახდა. მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ „თბიღისზე მზრუნველი“ ხმის მიცემის საფუძველზე, თავად აერჩიათ. „თბიღისზე მზრუნველის“ ნოდება ყოველწლიურად იმ მოქალაქეებს ენიჭებათ, ვინც საკუთარ საქმეს უანგაროდ ემსახურება, ზრუნავს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დედაქალაქის განვითარებაში.

წღის „თბიღისზე მზრუნველი“ თორღვა თორღვაშვილი უკვე 13 წელია მახანძრე-მაშველია. 13 ივნისს ქალაქ თბიღისში მომხდარი წყალდიდობის დროს მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა და დიდი წვლილი შეიტანა სტიქიის შედეგების საღიკვიდაციო სამუშაოებში.

მოქალაქეების რჩეულის გამოვლენა და „თბიღისზე მზრუნველის“ დაჯიღდოების ცერემონია რიყის პარკში გაიმართა. გამარჯვებული მახანძრე-მაშველი თბიღისის მერმა დავით ნარმანიამ პირადად დააჯიღდოვა.



ლექსები ხეებზე

ლევან სავისკვირაძე

ყველას თავისებურად ახსოვს გასული საუკუნის ბნელი 90-იანი წლები. ზოგი საზარელ პურის რიგებს იგონებს, ზოგი უშუქობას, უგაზობას და უსასობას, ზოგი სამოქალაქო ომსა და სოხუმის დაცემას, ზოგი წამცხვარ „სიგუასა“ და საშინელ ფსევდო „ამარტოებს“ თუ „მნასებს“... მაგრამ მე იმ პერიოდიდან ყველაზე მეტად ხეებზე გაკრული პოლიტიკური შინაარსის ლექსები მახსოვს და არც ამ ლექსების წამკითხველი, გაცრეციღპალტოიანი უბედური ხალხი დამავიწყდება.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ერთ-ერთმა მავანმა, ცხოვრებაზე გამწარებულმა მოპოეტო ელემენტმა, ვეღარ გაუძლო 90-იან წლებში არსებულ მწარე რეაღობას, მის გულში ბოღმამ ლექსად ამოხეთქა და პოლიტიკურ-სატირული (ყოველ შემთხვევაში ავტორს მაშინ ალბათ ასე ეგონა) შინაარსის სტროფები ჩამოაგვირისცა. აი, მაგალითად ასეთი:

„ალბათ სულ ყველა პუტჩისტებს აუტეხავენ თოხარისკს. გროზნოში ერთად შეყრიღან ზვიად, ბორია, ჯოხარია!“.

აღგა უბედური ჩვენი თანამოქალაქე, დანერა გიჲური ლექსი უჯრიან მათემატიკის რეჲულზე, შემდეგ გააღწერა რამდენიმე ეგზემპლარად და შუალამეს, როდესაც მოჲამულ რუსთაველზე გავლა წამეტანავდა საშინი იყო, არაფერს დაერიდა და ლექსები მრავლისმნახველ ჭადრის ხეებზე გააკრა იმ სიმაღლეზე, რომ დაბალ ადამიანსაც წაეკითხა ისინი.

ამ პირველსა და პიონერ მოპოეტო ელემენტს მერე სხვებმაც მიბაძეს და ყოველ დღით სამყაროზე გუნებააშლილი ჩვენი თანამოქალაქეების ერთი ნაწილი იმ „მულამით“ იღვიძებდა, რომ რუსთაველზე რაიმე ახალს და საინტერესოს წაიკითხავდა. ლექსებს კი ლექსები ემატებოდა და იმ დიდებულ ჭადრებთან უკვე პოლიტიკური ბატალიებიც იყო გაჩაღებული.

თუკი ერთ ხეზე „ზვიადისტურად“ განწყობილი მგოსნის პწკარედები იყო ჩამომწკრივებული, მეორე ჭადართან მისი მონინალმდევის პოეტური სული ბოზოქრობდა. მოქალაქეებიც იდგნენ ამ ხეებთან და კითხულობდნენ, კითხულობდნენ და უფრო მეტად იბოღმებოდნენ, უფრო მეტად ეშლებოდათ ნერვები სამყაროზე და საკუთარ თავზე, რადგან ის მწარე რეაღობა ყველას ბრალეულობის შედეგი იყო და ეს ის შემთხვევაა, როდესაც უდაზნაშულო სწორედაც რომ არავინ იყო.

ამასობაში კი, მავანი „ჭადრის პოეტი“ რუსთაველზე ახალ პწკარედებს აკრავდა:

„თენგომ (სიგუამ თუ კიტოვანმა სამწუხაროდ არ იყო განმარტებული) ლხინი გადახდა, მოინვია პუტჩისტები, სისხლიანინი ბეერი ჰყავდა, ერისა და ხალხის მტრები“.

ან ეს: „ჯაბა, ყველა შენ გაგინებს, კახეთი თუ გურია, ჩვენი ერის ვამპირი ხარ, ხალხის სისხლი გწყურია!“.

მინახავს ამ ლექსებგაკრულ ჭადრებთან ჩხუბი და განეგ-გამონევაც, რაც პირველ ყოველისა, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ამბებით იყო ნაკარნახევი. მინახავს, როგორ ხევდა მავანი ქალბატონი ერთ-ერთ მისთვის არმოსაწონ ლექსს და როგორ სწვდა მას ხელში შუახნის მამაკაცი, ლექსს ხელი უშვო.

მიუხედავად იმისა, რომ იყო საზარელი დრო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ლექსების აბსოლუტური უმრავლესობა იყო უნიჭო, მძიმე და ბოღმით გაჲლენილი, მინც ეს იყო ქალაქი, სადაც ჯერ კიდევ არ იყო ინტერნეტი, სადაც ჯერ კიდევ კითხულობდნენ ლექსებს და სადაც ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ მოეზიას ბეერი რამ შეეძლო. შემდეგ კი ამ ყველაფრიდან დარჩა მხოლოდ ბოღმა და სიბნელე. სიბნელე ყოველისმომცველი...




უხუცესი მოდელი

დიდი ბრიტანეთის მკვიდრი, 95 წლის ქალბატონი მოდელი გახდა. ჯეინ უიტლოკმა, სამოდლო ბიზნესში ათდღიანი კარიერის განმავლობაში უამრავი ადამიანის სიმპათია დაიმსახურა. ყველა სიახლის მიმართ გახსნილმა და აქტიურმა პენსიონერმა ერთ-ერთ სამოდლო სააგენტოსთან კონტრაქტი გააფორმა. ნისლიანი ალბიონის პროფესიონალი ფოტოგრაფები დარწმუნებით აცხადებენ, რომ 95 წლის პენსიონერს, ცხოვრებისეული გამოცდილების წყალობით, ისეთი თვისებები აქვს, რომლითაც ვერც ერთი ახალგაზრდა მოდელი ვერ დაიკვეხნის. ჯეინს შეუძლია კადრში შესანიშნავად გადმოსცეს მხატვრული ჩანაფიქრი და საჭირო ეფექტის მისაღწევად არ სჭირდება ბევრი დუბლის გადაღება. ახალგაზრდა მოდელიც აღფრთოვანებულია ახალი პროფესიით და წუხს, ამ სფეროში ადრე არ მოხვდა. აღსანიშნავია, რომ ჯეინის ქალიშვილიც სამოდლო ბიზნესში 69 წლის ასაკში მივიდა, ახლა კი, მისი წყალობით, დედასაც გაუჩნდა ახალი ჰორიზონტების დაპყრობის შანსი.

პოპკორნი მდიდრუბრისთვის

კინოთეატრში მისული მაყურებელი, იშვიათად ამბობს უარს, ფილმის ყურებისას პოპკორნის ჭამაზე. მას დემოკრატიულ საკვებად მიიჩნევენ, რადგან ყველასთვის ხელმისაწვდომია. თუმცა, მას შემდეგ, რაც კომპანია ECHO ის კინოს უმდიდრესი მაყურებლებისთვის წარმოადგინა, ამ პოპკორნის ყიდვას ყველა ვერ შეძლებს. Billion dollar popcorn დამზადებულია ორგანული შაქრისგან, Vermont Creamery-ს ნაღების კარაქისგან, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მარილისა და 23-კარატიანი საკვებად ვარგისი ოქროსგან. პოპკორნი ასეთი ძვირფასი ლითონის კი არა, მარილის გამოა. ამ ნედლეულს დანიაში, კუნძულ ლესზე მოიპოვებენ და გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ეკოლოგიური საფრთხის გამო, ძალიან მცირე რაოდენობით ინარჩუნებენ. მარილის მოპოვება შუა საუკუნეების მეთოდით ხორციელდება, როგორც არქეოლოგიური ექსპერიმენტი და ტურისტული ატრაქციონი. მიუხედავად სახელწოდებისა, ახალი პოპკორნი არც ისე ასტრონომიული თანხა ღირს — ერთლიტრიანი შეფუთვა 100 დოლარი ჯდება, 4-ლიტრიანი — 250, 8-ლიტრიანი კი 500 დოლარი.



ტოკიოს მეტრო „სურნელოვანი“ გახდება

ტოკიოს მეტროპოლიტენის ცენტრალურ წრიულ ხაზზე, 30 სადგურს შესაძლოა, საკუთარი სურნელი გაუჩნდეს, რათა მგზავრებმა ადვილად მოახერხონ ორიენტირება მინისკვამეთში. „ინფორმაციური არმატირების“ იდეა პროექტ EkiKA-ს ეკუთვნის. სარეკლამო სააგენტომ ამ უჩვეულო პროექტზე მუშაობა კარგა ხნის წინ დაიწყო, როცა დავალებული ჰქონდათ ვაგონების არმატირების პროექტის შემუშავება სპეციალური სარეკლამო კამპანიისთვის. სპეციალისტებს სუნის სისტემა უნდა შეემუშავებინათ, რომელიც პოტენციურ კლიენტს მიიზიდავდა მეტროპოლიტენის სადგურებზე განთავსებულ სავაჭრო ზონებში. კომპანიამ მოახერხა არმატირების ეფექტურად გამოყენება, რომელიც არ გროვდება და არ რჩება ტანსაცმელზე. ყველა ძირითადი პრობლემა, რომელიც პროექტს აფერხებდა, უკვე გადაჭრილია და სავსებით შესაძლებელია, უახლოეს მომავალში იაპონელებმა ტოკიოს მეტროში ორიენტირება პრაქტიკულად თვალდახუჭულებმა შეძლონ. ჯერჯერობით კი, ფირმა გამოკითხვას ატარებს იმის გასარკვევად, რომელ სადგურს როგორი არმატირება მოუხდება.



ავტობუსი-საშხაპე უსახლკაროებისთვის

სან-ფრანცისკოში ავტობუსებს, მგზავრების გადაყვანის გარდა, ახალი ფუნქცია დააკისრეს. ისინი ახალი დიზაინითა და შეცვლილი სახით უსახლკაროების სამსახურში ჩააყენეს. იდეა ქალბატონ დორის სანდოვალს ეკუთვნის. მან დააფუძნა არაკომერციული ორგანიზაცია Lava Mae, რომელიც უსახლკაროებზე ზრუნავს. ავტობუსები უკვე გადაკეთებულია, თითოეულ მათგანში სამი საშხაპე და ერთი ტუალეტი და კვირაში 2 ათასი შხაპის საშუალებას იძლევა. ავტობუსების გადაკეთებაზე ორგანიზაციამ 75 ათასი დოლარი დახარჯა. მობილური საშხაპეები ქალაქში მოძრაობს, რადგან სან-ფრანცისკოში უძრავ ქონებაზე სასწაული ფასებია. ასე კი არც ქირის გადახდა უნევთ და არც გამოსახლების საფრთხე ემუქრებათ. ორგანიზაციის წყალობით, ქალაქის 4 ათასამდე მკვიდრს, რომელსაც საცხოვრებელი არ აქვს, ცხელი შხაპის ყოველდღიურად მიღების საშუალება აქვს.



თითები და სექსუალურობის ხარისხი



მამაკაცის სექსუალურობისა და მისი ქვეყნის შესახებ შეიძლება არა მხოლოდ მისმა ვაჟკაცურმა ნიკაპმა ან ბოხმა ხმამ მიგვანიშნოს, არამედ, როგორც სპეციალისტებმა გაარკვიეს, ხელის თითებმაც. მათი განცხადებით, თითების სიგრძე და მათი პროპორციულობა არანაკლებ მეტყველებს თვისებებზე. ადამიანებისა და მაიმუნების კვლევამ სწავლულები საოცარ შედეგებამდე მიიყვანა. ლივერპულის უნივერსიტეტის მკვლევარებმა შეისწავლეს საჩვენებელი და არათითის შეფარდება სხვადასხვა სახის მაიმუნებში და შედეგები მათ სექსუალურ თუ სოციალურ აქტივობას შეადარეს. კვლევამ ცხადყო, რომ ხელის თითების სიგრძის შეფარდება დაკავშირებულია დედის ჰორმონალურ ფონთან ემბრიონის განვითარების პერიოდში. თუ დედის ორგანიზმში ამ დროს ტესტოსტერონის მომატებული დონეა, ნაყოფს შემდგომში გამოაჩნდება არა მხოლოდ მამაკაცური ნიშნები, არამედ საკმაოდ დიდი იქნება განსხვავება არათითისა და საჩვენებელი თითის სიგრძეს შორის, ხოლო ესტროგენების გაზრდილი დონე სანიანალმდეგო ნიშნებს იძლევა. სპეციალისტების თქმით, თითების სიგრძის მიხედვით ადამიანის სექსუალურ და სოციალურ აქტივობაშიც შეიძლება გავარკვეთ. კვლევის მიხედვით, რომელიც ზემინციის უნივერსიტეტის სწავლულებმა ჩაატარეს, დადგინდა, რომ რაც უფრო გრძელია მამაკაცის არათითი, მით მეტი სექსუალური კავშირის დამყარება შეუძლია. რაც შეეხება სუსტი სქესის წარმომადგენლებს, რომელთაც დაახლოებით ერთნაირი სიგრძის საჩვენებელი და არათითი აქვთ, შეუძლიათ გათხოვდნენ და ბევრი შვილიც გააჩინონ. ხოლო ის ქალები, რომლებსაც არათითი საჩვენებელზე გრძელი აქვთ, ჰომოსექსუალური კავშირებისკენ იხრებიან.

ჩინოვნიკებს დედაქალაქიდან ასახლებენ



ნისლიან ალბიონზე ხელისუფლება აპირებს, ათეულობით ათასი სახელმწიფო მოხელე დედაქალაქიდან პროვინციებში „გადაასახლოს“. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, სახელმწიფო აპარატისთვის გათვალისწინებული ხარჯების შემცირებაა, მეორე მხრივ კი — სახელმწიფო სამსახურების ურთიერთანამშრომლობის გაუმჯობესება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციებთან. შესაბამისი წინადადება უკვე მოამზადა დიდი ბრიტანეთის მთავრობამ და მას უახლოეს პერიოდში წარადგენენ. როგორც ბრიტანული პრესა აღნიშნავს, ქვეყნის მთავრობა ლონდონიდან 132 ათასი სახელმწიფო მოხელისა და დამხმარე უწყებების 90 ათასამდე თანამშრომლის „გასახლებას“ აპირებს. არსებული გეგმა მაღალჩინოსნების შესახებ გამიზნული ხარჯების შემცირებასაც ითვალისწინებს. ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს ცნობით, 90-იანი წლების შემდეგ, ასეთ მოსამსახურეთა რაოდენობა 3100-დან 4300-მდე გაიზარდა. ვარაუდობენ, რომ ახალი წესების მიხედვით, მომავალში დედაქალაქში ახალი სამთავრობო სამსახურებისა და ორგანიზაციების განთავსება შეუძლებელი იქნება.





ერუსუდან ხავეთაძე

28 ნოემბერს, თბილისში ჩამოდის საფონდო ბირჟების ყველაზე ქარიზმატული პერსონა და უოლ სტრიტის მგლად ნოდებულის ჯორდან ბელფორტი. კაცი, რომელიც ლეონარდო დიკაპრიომ განასახიერა, თბილისელ მსმენელს გაყიდვებისა და დამარწმუნებელი კომუნიკაციის მასტერკლასს ჩაუტარებს. 1500-მდე ადამიანს უკვე გადანყვებილი აქვს ლეგენდასთან შეხვედრა. ბელფორტის ჩამოყვანის იდეა ოთარ ქირიას ეკუთვნის და პროექტს „ალიანს ჯგუფ ჰოლდინგთან“ ერთად აკეთებს. „ვერსია“ სწორედ მითარქირიას ესაუბრა.

— უოლ სტრიტის მგლის თბილისში ჩამოყვანის იდეა გაჩნდა მას შემდეგ, რაც კარგად გავაცნობიერე, რომ გაყიდვა ნებისმიერი მეთოდით ის მთავარი ასპექტია, რომელიც ქართულ ბიზნესსა და ნებისმიერ ინდივიდს სწრაფი განვითარებისთვის ძალიან ნაადრევად ჯორდან ბელფორტი ამის უბადლო მაგალითია, რადგან სწორედ მან გამოიყენა ყველა — ჯერ დაუშვებელი, შემდეგ კი დაშვებული მეთოდი, რითაც უზარმაზარი იმპერია შექმნა.

— იგი ციხეში იჯდა თაღლითობისთვის დაასეთი მიმზიდველი გასამართლებულ ადამიანთან შეხვედრა?

— იმიტომ არა, რომ ციხეში იჯდა. საინტერესოა იმიტომ, რომ პატიმრობის შემდეგ არ დანებდა და მაინც ააშენა იმპერია. ის საფონდო ბირჟაზე დარჩა. თუმცა ბევრს ეგონა, რომ პატიმრობის შემდეგ სფეროდან შორს გაცლა მოუწევდა. რასაკვირველია, მის ყოველ ნაბიჯს სამართალდამცავები, მედია, კრიტიკოსები, კოლეგები და ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, ლუპით აკვირდებოდა. თუმცა მან მაინც შეძლო მიეღწია იმისთვის, რომ წლიურად მინიმუმ 50 მილიონ დოლარს შოულობს. ის კი არა, საქმიანობის არეალიც გააფართოვა და მისი ნიჭი და გამოცდილება სწავლებაში გადაიტანა.

— ანუ აქვს უფლება ბირჟებზე ისევ იყოს?

— იგი რამდენიმე ათეული კომპანიის მფლობელია, რომლებიც სრულიად შეუფერხებლად და დიდი წარმატებით ფუნქციონირებენ, რასაკვირველია, სრულიად ლეგალური გზით. ამას გარდა, თავად ბელფორტმა შექმნა უნიკალური საგანმანათლებლო პროგრამა სახელწოდებით — Straight Line (დამარწმუნებელი კომუნიკაცია), რომელსაც უკვე რაზანია მასტერკლასებისა და ტუტორიალ-პროგრამების სახით ყიდის მთელ მსოფლიოში. შესაბამისად, ინტერესი მისდამი იმიტომ კი არ არის, რომ ციხეში იჯდა, არამედ იმიტომ, რომ წინააღმდეგობას ზოგადად არ აღიარებს...

— და, რასაკვირველია, ის რომ აქვს შეუდარებელი ნიჭი, დაარწმუნოს ნებისმიერი, იქნება ეს მსმენელი თუ მყიდველი... თბილისის მასტერკლასზე კალმის გაყიდვის სცენას გაიმეორებს?

— მისი მასტერკლასი, როგორც წესი, ძალიან დინამიურია და არ ჰგავს მონოლოგს ან ლექციას. 5-საათიანი პროგრამა დატვირთული იქნება ინტერაქციული აქტივობებით. რა თქმა უნდა, SELL ME THIS PEN (სცენა „მომყიდე ეს კალამი“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია არა მხოლოდ წიგნში, არამედ ფილმშიც) კონცეფცია ერთ-ერთი ლიტმობი იქნება. ვერაფრით ავტომატურად ექსცენტრიულობასაც. ეს ამ პროგრამების სტანდარტული ფიზიკური მდგომარეობაა და სხვაგვარად არც გახდებოდა მარტინ სკორსეზისთვის ფილმის ინსპირაცია.

— ბელფორტი გმირად მხოლოდ ამ ფილმმა აქცია?

— ასე ვერ ვიტყვი! ფილმი იყო ლოგიკური გაგრძელება იმ ტიტანური ისტორიისა, რაც 80-იანებში დაიწყო. ჯერ ფინანსისტები ალაპარაკა, შემდეგ მთელი ნიუ-იორკი. ციხის შემდეგ ისევ ინდუსტრიაში დარჩა და იმდენს მიაღწია, რომ „უოლ სტრიტის

„იყილეთ, იყილეთ, იყილეთ ჩქარა, თორემ...“ უოლ სტრიტის მგელი თბილისში მოდის

მგლის“ სტატუსი უბოძა საზოგადოებამ. შტატების მასშტაბით, პოპულარობა წიგნმა მოუტანა — პატიმრობის შემდეგ ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერა, რომელშიც, ფაქტობრივად, ყველაფერი აღიარა და სასაქარაოზე გამოიტანა ისეთი პიკანტური სცენები, რომელიც ყველა გამოცემის მთავარ თემად იქცა. როგორ იყიდა პირველი ფულით „ფერარი“ მხოლოდ იმიტომ, რომ მსგავსი დონ ჯონსონს ჰყავდა. როგორ ჩაძირა ხმელთაშუა ზღვაში გემი. როგორ დახარჯა სასტუმროში ერთ ღამეში 700 ათასი დოლარი და, რაც მთავარია, როგორ ახერხებს იმას, რომ ყველაფერი რაც მოუნდება, წარმატებით გაყიდოს. წიგნის პოპულარობამ განსაზღვრა მარტინ სკორსეზის სურვილი, გადაეღო ფილმი სახელწოდებით „უოლ სტრიტის ნამდვილი მგელი“, რომელიც ოსკარის ხუთ ნომინაციაზე წარადგინეს. თავად ფილმის შექმნასაც თავისი ისტორია აქვს, რადგან დიკაპრიო იძულებული იყო, ბელფორტთან ეცხოვრა გარკვეული პერიოდის მანძილზე და ისე მოიხიბლა ქარიზმატული ისტორიებით, რომ თავადაც არაერთი სცენა დადგა ფილმში.

— „ფობსმა“ ბელფორტს თანამედროვეობის რობინ ჰუდი უწოდა... კაცმა სამ წუთში 12 მილიონი გააკეთა... დღეს მასტერკლასებს ფრანკფურტსა და დუბლინში ატარებს. თბილისში ჩამოყვანაზე დათანხმება რთული არ იყო?

— ძალიან რთული იყო ბევრი თვალსაზრისით. ჯერ ერთი, მისი აუდიენცია და მასტერკლასი ძალიან ძვირი სიაშოვნებაა. ხსენებულ თუ სხვა ქალაქებში, ბილეთი მის სემინარებზე 1000

დოლარს აჭარბებს. შესაბამისად, მისი, როგორც სპიკერის, ფასიც ძალიან მაღალია. იდეა კარგი იყო, მაგრამ რთული. თუმცა, „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგის“ ხელმძღვანელობამ უმაღლეს ალლო პროექტს და კორპორატიული პასუხისმგებლობის ფარგლებში ითავა ამ გრანდიოზული პროექტის ორგანიზება. თავად ბელფორტის დათანხმებას ნახევარწელზე მეტი დასჭირდა — სანამ პირობები შეთანხმდა და ქვეყნის ეკონომიკის შესახებ ბევრი არ შეისწავლა. თუმცა, მარტივად წამოვიდა დამოშობაზე, როცა ავუსხენით, რომ დამწყები სპეციალისტებისა და სტუდენტების საერთაშორისო ფასის შეთავაზება ბილეთზე არაადეკვატური იქნებოდა. არადა, ორგანიზატორის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რომ სწორედ ე.წ. სტარტაპებს (დამწყები ბიზნესები) და სტუდენტებსაც მისცემოდეთ უნიკალური გამოცდილების მოსმენის საშუალება. შესაბამისად, დიდი წილი ფილარმონიის სტუმრებისა, 28 ნოემბერს, სწორედ მათზე მოდის.

— ანუ მხოლოდ ისინი არ ესწრებიან?

— არა, რასაკვირველია. მოქმედი და შემდგარი სპეციალისტები, შუა და მაღალი რგოლის მენეჯერებიც უკვე დარეგისტრირდნენ. სწავლა არავისთვისაა გვიანი, მით უმეტეს, როცა საქმე ასეთ გამოცდილებას ეხება.

— ძვირია თბილისის მასტერკლასის ბილეთები?

— მეათედი ფასია იმასთან შედარებით, რაც სხვა ქვეყნებშია. არის ხუთი კატეგორიის ბილეთი და დეტალური ინფორმაცია ლონსიდების ვებგვერდზეა მოცემული (www.wallstreet.ge).

AG ALLIANCE GROUP HOLDING Presents

JORDAN BELFORT

First Time in TBILISI **LIVE in person**

REAL THE WOLF OF WALL STREET

NOVEMBER 28

STRAIGHT LINE Master Class

PLATINUM SPONSOR: MFX Broker Your personal broker

GOLD SPONSOR: europa-bet.com

SILVER SPONSOR: BIA Business Information Agency

Forbes, FORTUNE, 360, Radisson, DELICIA, Outdoor.ge, myVIDEO.GE, 360 TERRACE

Email: info@wallstreet.ge | Tel: (+995) 577155150; (+995) 577287070 | www.wallstreet.ge

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაპ)070.48:32(479.22)3-387

დაგეგმილი და მითარქირი ტრეილერი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი ტრეილერი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიკონი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.
სტილისტი — ნინო ებანიძე
ფოტოგრაფი — გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.